პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი № 36 (11950) | შაბათი, 11 თებერვალი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

ეს დღეები ჩვენს სოფელში

ამ დღეებში თბილისში მუშაობა დაამთავრა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირმა, რომელზეც ვრცელი, ღრმაშინაარსიანი სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

თათბირის მონაწილეები დაბრუნდნენ თავიანთ სამუშაო უბნებზე.

„კომუნისტი“ იწყებს მასალების ბეჭდვას, თუ რას ფიქრობენ ისინი ადგილებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ახალი რეზერვების გამოსავლინებლად, კოლმეურნეები რა გეგმებს ისახავენ, როგორია ეს დღეები სოფელში, სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობისათვის ბრძოლის პირველი ნაბიჯები.

ახალი ენერგიით

დიდი ბედნიერება მხვდა წილად — ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მონაწილე გავხდი, ეს ბედნიერება თავისთავად როდი მოსულა, შრომით მოვიპოვე.

მახსოვს, კოლმეურნეობაში, რომ დაიწყე მუშაობა, მემინდვრეობის ბრიგადირმა დასაბუშავებლად 0,75 ჰექტარი სიმინდის ნათესი მომიზომა. შრომა არ მეზარებოდა, მაგრამ გამოცდილება მაკლდა.

შვიდწლედის მეორე წელს მთელი ჩემი გამოცდილება გამოვიყენე. თესვის წინ ნიადაგი გავაფხვიერე, სარეველა ბალახის ძირები შევაგროვე და ნაკვეთის გარეთ გამოვიტანე. ნიადაგი ნაკელით და ნაცრით გავაპატივე.

სიმინდი რომ აღმოცენდა, ბუდნაში, სადაც მხოლოდ ერთი მცენარე იყო, მეორე ჩავუმატე, იქ კი, სადაც სამი და ოთხი იყო, ორი დავტოვე.

ნათესი საჭიროებისამებრ მოვრწყე. სიმინდმა ტანი აიყარა, თვითეულმა ორი-სამი ტარო გაიკეთა. სიხარულით მევსებოდა გული, ჩემი შრომის მშვენიერ ნაყოფს რომ ვუყურებდი. ჰექტარზე ოთხმოცი ცენტნერი სიმინდის მიღებას ვანგარიშობდი. მოუთმენლად ველოდი მოსავლის აღებას.

დადგა ეს დროც. შევუდექი სიმინდის აღებას. მოსავალმა მოლოდინს გადაჭარბა. ჰექტარზე 112 ცენტნერი სიმინდი მივიღე მარცვლად.

მეტი ხორცი, რძე...

ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მონაწილეებმა გულდასმით მოვისმინეთ რა მოხსენებანი და ამ თათბირზე წარმოთქმული ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა, ბევრი რამ შევიძინეთ.

მე, როგორც ამ თათბირის მონაწილემ უკვე საჭირო ისაკენები გავაკეთე ჩვენს მეურნეობაში მუშაობის ახლებურად მოწყობისათვის.

1959 წელთან შედარებით შარშან ცენტნერი რძის წარმოების თვითღირებულება 13 მანეთით შემცირდა, მაგრამ ეს მიღწევები არ გვაკმაყოფილებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის გადაწყვეტილებათა შემდეგ უფრო სერიოზული მუშაობა მოგვიხდება. ეს კარგად აქვს შეგნებული მეურნეობის კოლექტივს.

ახლა მთავარი ყურადღება ექცევა პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებას, ნამატის მთლიანად შენარჩუნებას, ხორცისა და რძის წარმოების მკვეთრად გადიდებას. ჩვენმა კოლექტივმა მტკიცედ გადაწყვიტა შვიდწლედის მესამე წელს ძროხების სულადობა გაზარდოს 1.000 სულამდე ნაცვლად შარშან არსებული 800-სა, საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მიიღოს 2.500 კილოგრამი რძე, შარშან კი მიღებული იყო 2.100 კილოგრამი.

ყველა პირობას ვქმნით იმისათვის, რომ ორგანიზებულად მოვაწყოთ პირუტყვის გასუქება და ვალდებულებას ვკისრულობთ წელს სახელმწიფოს მივყიდოთ 3.000 ცენტნერი ხორცი ნაცვლად შარშან მიყიდული 2.280 ცენტნერისა, 13.000 ცენტნერი რძე ნაცვლად 1960 წლის 10.810 ცენტნერისა.

ჩვენი მეურნეობის შრომისმოყვარე კოლექტივი სასახელოდ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას.

ს. მასხარაშვილი,
ახალქალაქის რაიონის მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

ცენტრალური შავმიწანიადაგიანი ოლქების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი

ვორონეჟი, 10 თებერვალი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა ცენტრალური შავმიწანიადაგიანი ოლქების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი. თათბირში მონაწილეობენ აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე გ. ი. ვორონოვი და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ს. პოლიანსკი.

თათბირი განიხილავს საკითხს ცენტრალური შავმიწანიადაგიანი ოლქების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების ღონისძიებათა შესახებ.

ამ საკითხზე მოხსენებები გააკეთეს პარტიის საოლქო კომიტეტის მდივნებმა: ვორონეჟისა — ს. დ. ხიტროვმა, კურსკისა — ლ. გ. მონაშოვმა, ლიპეცკისა — ს. ტ. პუზიკოვმა, ბელგოროდისა — ა. ვ. კოვალენკომ, ტამბოვისა — გ. ს. ზოლოტუხინმა. ორიოლისა — ნ. თ. იგნატოვმა, პენზისა — ს. მ. ბუტუზოვმა.

შემდეგ დაიწყო კამათი.

გულითადი მილოცვა

ახალი ზელანდიის ეროვნული დღესასწაულის გამო

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრს კეიტ ჰოლიოაკს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც მას და ახალი ზელანდიის [illegible] ლოცვებს უთვლის და ყოველ სიკეთეს უსურვებს ეროვნული დღესასწაულის — ახალი ზელანდიის დღის გამო.

ბ-ნი კეიტ ჰოლიოაკი საპასუხო დეპეშაში მადლობას უხდის ნ. ს. ხრუშჩოვს მილოცვისათვის და თავის მხრივ სალამს უთვლის და კეთილი ნების გრძნობებს გამოთქვამს. (საკდესი).

საბჭოთა მთავრობის პროტესტი საფრანგეთის მთავრობისადმი

9 თებერვალს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო საფრანგეთის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ჟ. დე ლა ვრანგილი და შემდეგი განცხადება გაუკეთა:

„საბჭოთა მთავრობის დავალებით საჭიროდ მიმაჩნია შემდეგი განცხადება გავუკეთო საფრანგეთის მთავრობას.

9 თებერვალს მოხდა საბჭოთა სამოქალაქო თვითმფრინავზე, რომელზეც იმყოფებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი და მისი თანმხლები პირები, საფრანგეთის სამხედრო თვითმფრინავის თავდასხმის უპრეცედენტო შემთხვევა. თავდასხმა მოხდა 14 საათსა და 23 წუთიდან 14 საათსა და 30 წუთამდე ვრინვიჩის დროით საჰაერო სივრცეში ხმელთაშუა ზღვის საერთაშორისო წყლების თავზე ქალაქ ალეირის ჩრდილოეთით დაახლოებით 180 კილომეტრზე მდებარე რაიონში. სსრ კავშირის სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ილ-18 ტიპის თვითმფრინავი მიდიოდა რაბათში მარშრუტით, რომელიც წინასწარ ეცნობა საფრანგეთის შესაბამის ხელისუფლებს.

აღნიშნულ დროს, როცა თვითმფრინავი 8.250 მეტრ სიმაღლეზე იყო, უეცრად გამოჩნდა ორმოტორიანი რეაქტიული ავიაგამანადგურებელი საფრანგეთის გამოსაცნობი ნიშნებით და სამჯერ მიუახლოვდა თვითმფრინავს საშიშრად ახლო მანძილზე. მიახლოების დროს ავიაგამანადგურებელმა ორჯერ აუტეხა სროლა საბჭოთა თვითმფრინავს, რის შემდეგაც გზას უჭრიდა თვითმფრინავს.

საფრანგეთის სამხედრო თვითმფრინავის ამგვარ არაჩვეულებრივ მოქმედებას საბჭოთა კავშირის სამოქალაქო ავიაციის თვითმფრინავის მიმართ შეეძლო მძიმე კატასტროფა გამოეწვია. ეს მოქმედება შეიძლება მიგიჩნიოთ მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო ბანდიტიზმის აქტად, რომელიც საფრანგეთის შეიარაღებულმა ძალებმა განახორციელეს. საფრანგეთის ავიაგამანადგურებლის მოქმედებას უხეში პროვოკაციული ხასიათი კიდევ უფრო აშკარა ხდება, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ავიაგამანადგურებლის გამოჩენამდე ცოტა ხნით ადრე საბჭოთა თვითმფრინავმა რადიოკავშირი დაამყარა ალეირის აეროპორტთან და ამრიგად საფრანგეთის ხელისუფლებმა ზუსტად იცოდნენ, თუ სად იმყოფებოდა საბჭოთა თვითმფრინავი, რომელიც მიმყვებოდა კურსს, რომელიც ამასთან წინასწარ ეცნობა საფრანგეთის მთავრობას.

ამასთან დაკავშირებით, რომ საფრანგეთის ავიაგამანადგურებელი უანალფურად დაეხსნა თავს სსრ კავშირის სამოქალაქო საჰაერო ფლოტის თვითმფრინავს, რომელზეც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი იმყოფებოდა, საბჭოთა მთავრობა მტკიცე პროტესტს უცხადებს საფრანგეთის მთავრობას. რომელსაც ეკისრება მთელი პასუხისმგებლობა საფრანგეთის შეიარაღებული ძალების მოქმედებისათვის. საბჭოთა მთავრობა მოითხოვს დასაჯონ დამნაშავენი. განახორციელონ ღონისძიებანი, რათა მომავალში აღარ მოხდეს ასეთი შემთხვევა და შედეგები აცნობონ მას“.

საფრანგეთის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა თქვა, რომ იგი დაუყოვნებლივ გადასცემს საბჭოთა მთავრობის განცხადების ტექსტს საფრანგეთის მთავრობას.

ლ. ი. ბრეჟნევი რაბათში ჩავიდა

რაბათი, 9 თებერვალი. (საკდესი). დღეს რაბათში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი და მისი თანმხლები პირები. ლ. ი. ბრეჟნევი ოფიციალურ ვიზიტად მიემგზავრება გვინეის რესპუბლიკაში და რაბათში გაჩერდება როგორც მაროკოს მეფის მოპატიჟებული V სტუმარი.

აეროდრომზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესა და მის თანმხლებ პირებს შეხვდნენ მაროკოს მეფე მოჰამედ V, მემკვიდრე პრინცი მულაი ჰასანი, მთავრობის წევრები და სხვა ოფიციალური პირნი.

ღირსეული შეხვედრა

პარტიის ყრილობას

თბილისის მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშათა, მეცნიერთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა სოციალისტური ვალდებულებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად

ქალაქ თბილისის მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის მოწვევის შესახებ, სოფლის მეურნეობის დაჩქარებული განვითარების შესახებ.

სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების შესანიშნავი შედეგები, წარმატებით განხორციელება პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებისა მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობის შესახებ, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი გაუჯობესების შესახებ, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის მონოლითური შეკავშირების შემდგომი განმტკიცება მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში, კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის თათბირის შედეგები საბჭოთა ადამიანებში იწვევენ თავიანთი საყვარელი სამშობლოსათვის, დიადი ლენინური პარტიისათვის, ქანონიერი სიამაყის გრძნობას, აღაფრთოვანებენ მათ ახალი საგმირო საქმეებისათვის კომუნიზმის გამარჯვების მისაღწევად.

თბილისის მშრომელებს, რომლებმაც ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის მესამე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დიადი სოციალისტური სამშობლოს სადიდებლად შრომაში ახალი გამარჯვებებით შეხვდნენ სკკპ XXII ყრილობას.

თბილისის მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშებმა, მეცნიერებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი, გამოიანგარიშეს რეზერვები და შემდეგ სოციალისტურ ვალდებულებებს კისრულობენ სკკპ მომავალი XXII ყრილობის აღსანიშნავად:

მრეწველობაში

1. ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვის, მატერიალური და შრომითი რესურსების მაქსიმალურად გამოყენების საფუძველზე საერთო პროდუქციის, ძირითად სახეობათა ნაკეთობების გამოშვებისა და კოოპერირებული მიწოდების 1961 წლის დავალება შეასრულონ ვადამდე, 20 დეკემბრისათვის და წლის დამლევამდე გამოუშვან 15 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

2. საერთო პროდუქციის, უმნიშვნელოვანესი ნომენკლატურის ნაკეთობების გამოშვებისა და კოოპერირებული მიწოდების 10 თვის გეგმა შეასრულონ ვადამდე, 1961 წლის 17 ოქტომბრისათვის — სკკპ XXII ყრილობის გახსნის დღისათვის.

3. წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვან რამდენიმე ლითონსაჭრელი ჩარხი, 3.000 ელექტროავტომატი, 5.000 ელექტროამამუშავებელი, 20 ელექტროშესაფული გარდამქმნელი, 1.000 ცალი ელექტროძრავი, ათასი ტონა ლითონკონსტრუქციები, 1,5 მილიონი ცალი ადური, 12 ათასი კვადრატული მეტრი ქრომიტული ფილა, 5 ათასი ცალი სამნი ნახევარფაფფური, 40 ცალი პიანინო და როიალი, 25 ათასი მეტრი შალის ქსოვილები, 100 ათასი მეტრი ბამბეულის ქსოვილები, 100 ათასი ცალი ტრიკოტაჟი, 70 ათასი მანეთის შეკერილი ნაწარმი, 40 ათასი წყვილი ტყავის ფეხსაცმელი, 55 ტონა ხისტი ტყავეული, 600 ათასი დეციმეტრი რბილი ტყავეული, რძის 1.000 ტონა სხვადასხვა პროდუქტები, 50 ტონა დაფასებული ჩაი, 65 ათასი ბოთლი შამპანური, 160 მილიონი ცალი პაპიროსი და სიგარეტი, 4.350 ტონა კომბინირებული საკვები და სხვ.

4. ორი პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გეგმა და უზრუნველყონ გეგმასთან შედარებით პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით სულ ცოტა 4 მილიონი მანეთის ზეგეგმითი ეკონომია.

5. დადგან საწარმოებში 26 ავტომატური და მექანიზებული ნაკადური ხაზი, მოახდინონ მოდერნიზაცია და შეცვალონ სულ ცოტა 700 ერთეული მოწყობილობა, განახორციელონ ათასზე მეტი სხვადასხვა ღონისძიება ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიისა და მოწინავე გამოცდილების დასანერგავად.

6. მანქანათასამშენებლო, ელექტროტექნიკური, სატყეო, საფეიქრო, მსუბუქი, კვებისა და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში აითვისონ სულ ცოტა 300 ახალი სახეობის ნაკეთობის გამოშვება.

7. დაეცხრომელი ბრძოლა აწარმოონ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ქარხნისა და ფაბრიკის მარკის ღირსებისათვის.

8. მიაღწიონ 15 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგიისა და 50 ტონა ფერადი ლითონების ეკონომიას.

9. უზრუნველყონ კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელთა, გამომგონებლთა და რაციონალიზატორთა მოძრაობის ყოველი ღონისძიებით განვითარება. რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა დანერგვით მიიღონ სულ ცოტა 2 მილიონი მანეთი პირობითი წლიური ეკონომია.

რკინიგზის ტრანსპორტზე

1. ვადამდე შეასრულონ დატვირთვის წლიური გეგმა და წლის დამლევამდე

მშენებლობასა და საქალაქო მეურნეობაში

1. ვადამდე, 27 დეკემბრის შეასრულონ სამრეწველო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა.

17 ოქტომბრისათვის — სკკპ XXII ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ათი თვის გეგმა.

2. ააშენონ და საექსპლოატაციოდ გადასცენ 175 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, აქედან თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხაზით სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა ხარჯზე — 130 ათასი კვადრატული მეტრი.

3. ააშენონ და საექსპლოატაციოდ გადასცენ ორი სასტუმრო, ახალი სასკოლო შენობები 4.245 მოსწავლისათვის, სკოლა-ინტერნატების 2 სასწავლო კორპუსი, 3 აბანო.

4. ქალაქის სამშენებლო საწარმოებში მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების შემდგომი განვითარებისა და მთავართბილისმშენში კომპლექსური მექანიზაციისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის გზით 8 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების ზრდის საგეგმო დავალებანი, გაადიდონ ასაწყობი რკინაბეტონის გამოშვება 1 მილიონი მანეთით, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები 5 პროცენტით, გააფართოონ წინასწარ დაძაბული ასაწყობი რკინაბეტონის პროგრესული კონსტრუქციების დანერგვა. სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავად ააშენონ და საექსპლოატაციოდ გადასცენ 10 დიდბანელიანი და 40 დიდბლოკიანი საცხოვრებელი სახლი.

5. ვადამდე, 1 დეკემბრისათვის, შეასრულონ საცხოვრებელი სახლების კაპიტალური რემონტის გეგმა, მოაასფალტონ 500 ათასი კვადრატული მეტრი ქუჩების სავალი ნაწილი და ტროტუარები. 20 დეკემბრისათვის მიაწოდონ ქალაქს 125 მილიონი კუბური მეტრი წყალი, გაიყვანონ 33,5 კილომეტრი ახალი წყალსადენი ქსელი, 22,4 კილომეტრი საკანალიზაციო ქსელი და 12,8 კილომეტრი ღვარსარინები.

6. წლის დამლევამდე ბუნებრივი და ბალონებულ-ბული გაზით გაზიფიცირებული ბინების რაოდენობა გაადიდონ 29 ათასამდე. გაზის საბობზე გადაიყვანონ 65 სახლის საქვაბე.

7. ქალაქის ელექტროტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის ათი თვის გეგმა შეასრულონ 17 ოქტომბრისათვის — სკკპ XXII ყრილობის გახსნის დღისათვის და გეგმის გადამეტებით გადაიყვანონ 5 მილიონი მგზავრი. შეამცირონ ერთი მგზავრის გადაყვანის თვითღირებულება და გეგმის გადამეტებით დაიჭირონ 30 ათასი მანეთი. მოძრავი შემადგენლობის კაპიტალური რემონტის წლიური გეგმა შეასრულონ 20 დეკემბრისათვის.

• • •

ქალაქ თბილისის მშრომელები, აღფრთოვანებულნი ჩვენი მშობლიური პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი ზრუნვითა და ყურადღებით საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისათვის, პირობას აძლევენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ დაუცხრომლად იშრომებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის და თავიანთ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიად საქმეში.

ვალდებულებანი განხილული და მიღებულია თბილისის მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის საწარმოებისა და ორგანიზაციების მშრომელთა კრებებზე.

საბჭოთა მეგოგროგის უნივერსიტეტში საბჭოთა მოქალაქეების მიღების შესახებ

მოსკოვი, 9 თებერვალი. (საკდესი). სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროში, გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებში, აგრეთვე სხვა ორგანიზაციებში მოდის ბევრი წერილი თხოვნით დაწვრილებით აცნობონ ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტში საბჭოთა მოქალაქეების მიღების წესები.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში უნივერსიტეტის მმდგომი კომისიის პასუხისმგებელმა მდივანმა ა. ა. პეტუხოვმა თქვა, რომ მიზანშეწონილად მიჩნეულია უნივერსიტეტში ჩაირიცხონ ის საბჭოთა მოქალაქეები, რომლებმაც ჩაბარეს შესაბამისი საკონკურსო გამოცდები ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში, მეგობრობის უნივერსიტეტში არ მიიღებენ იმ საბჭოთა მოქალაქეებს განცხადებებს, რომლებსაც საკონკურსო გამოცდები არ ჩაბარებიათ სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში.

უნივერსიტეტში მიღების დროს გაითვალისწინებენ უცხო ენის აუცილებელ ცოდნას, აგრეთვე შემსვლელის ცხოვრებისა და საწარმოო მუშაობის გარკვეულ გამოცდილებას.

სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში, არ გადაიყვანენ ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტში, ვინაიდან მოსამზადებელ ფაკულტეტზე უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულია ერთ-ერთი უცხო ენაში სავალდებულო მეცადინეობა ერთი წლის განმავლობაში.

ამერიკელი მწერლის საჩუქარი

ვლადივოსტოკი, 9 თებერვალი. (საკდესი). ნიუ-იორკიდან ვლადივოსტოკში მოვიდა ბანდეროლი — პროგრესული ამერიკელი მწერალ — პუბლიცისტის წიგნი „ლენინისა და ოქტომბრის რევოლუციის შესახებ“, რომელიც საჩუქრად გამოუგზავნა ვლადივოსტოკის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს. წიგნის თავფურცელზე წარწერილია:

„ქალაქ ვლადივოსტოკის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს. ღრმა პატივისცემისა და მშვიდობისათვის, ურთიერთგაგებისა და საერთაშორისო მეგობრობისათვის ჩვენი საერთო ბრძოლის ნიშნად. ალბერტ რის ვილიამსი. ნიუ-იორკი. 1961 წელი“.

ალბერტ რის ვილიამსი იმ უცხოელ ინტელიგენტთა ერთ-ერთი წარმომადგენელია, რომლებიც დიდი ოქტომბრის მრისხანე დღეებში რუსეთში იმყოფებოდნენ და რევოლუციურ მასებს ეხმარობოდნენ. ჯონ რიდის ახლო მეგობარი, რის ვილიამსი, ისევე როგორც ჯონ რიდი, რამდენიმეჯერ შეხვედრია ვ. ი. ლენინს.

ალბერტ რის ვილიამსსა და ვლადივოსტოკის მშრომელთა შორის დიდი ხნის ნეგობრობაა. 1918 წელს მან დაახლოებით ერთი თვე იცხოვრა ვლადივოსტოკში, სადაც თავის თვალით ნახა ბევრი რევოლუციური ამბავი. ამ ამბებს შორეულ აღმოსავლეთის რევოლუციურ ქალაქში მან მიუძღვნა რამდენიმე თავი თავისი ცნობილი წიგნისა „რუსეთის რევოლუციის ქარცეცხლში“.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის მეთოთხმეტე ტომი

მოსკოვი. გამოვიდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის მეთოთხმეტე ტომი, რომელიც სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა მოამზადა და პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა. ტომში შევიდა ნაწარმოებები, რომლებიც ვლადიმერ ილიას ძემ დაწერა 1906 წლის სექტემბერ-1907 წლის თებერვალში.

(საკდესი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მწუხარებით იუწყება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, საქართველოს კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ზურაბ ილიას-ძე თავზარაშვილის გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ეს ბედნიერი

ეს ბედნიერი ბალეტ „ბედნიერ ქალის“ ... ...

სილნაღელთა მისაბაძი მაგალითი

აქ ახლა სკოლეგი ერთ ცვლად მეცადინეობენ

სკოლა ხალხის უპირველესი საზრუნავია. ჩვენში, იგი გარემოსილია სიყვარულითა და პატივისცემით, მხარდაჭერითა და დახმარებით. ყოველყოლიერად ჩვენი კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევენ სკოლებისათვის მატერიალური ბაზის გაუმჯობესების საქმეს. ამ დიდ საყოველთაო საქმეში სულ უფრო მეტ მონაწილეობას იღებენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. ისინი საკუთარი სახსრებით აგებენ სასკოლო შენობებს, დამატებით აშენებენ ახალ საკლასო ოთახებს, სასპორტო დარბაზებს, სახელოსნოებსა და სხვ.

ამ გვერდზე გამოქვეყნებული მასალები მკითხველებს აცნობენ სილნაღის რაიონის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანიზაციების, სახალხო განათლების, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკების მიერ გაწეულ დიდ შრომას, რომლის შედეგადაც რაიონის ყველა სკოლაში 1960-1961 სასწავლო წლისათვის განხორციელდა ერთცვლიან მეცადინეობაზე გადასვლა.

დიდი სახალხო მნიშვნელობის საქმე

სპეც ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმი დიდი მოვლენაა კომუნისტური პარტიისა და მთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. იანვრის პლენუმის დადგენილებაში და ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლაში ღრმად არის განზოგადებული სოფლის მეურნეობის განვითარების შემდგომი ამოცანები, მოცემულია მისი განუხრელი აღმავლობის საბრძოლო პროგრამა.

პლენუმი მიმდინარეობდა ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის ზრუნვის სულისკვეთებით, რაც გამომდინარეობს ჩვენი პარტიის პოლიტიკიდან და შეესაბამება კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის საარსებო ინტერესებს. სწორედ ამიტომ იწვევს ეს პლენუმი ესოდენ ცხოველ გამოხმაურებას საბჭოთა ადამიანებში და რაზმავს მათ ახალი წარმატებებისათვის კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

ჩვენი სოფლის მეურნეობის, ჩვენი ხალხის ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ნ. ს. ხრუშჩოვმა.

საბჭოთა სკოლა მთელი თავისი ფესვებით დაკავშირებულია სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წარმოების განვითარებასთან, ჩვენი ცხოვრების სისხლხორცეულ საკითხებთან.

ამის მკაფიო ილუსტრაციას წარმოადგენს ჩვენი რესპუბლიკის სკოლებისა და საწარმოების, კერძოდ, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ურთიერთ კავშირი, რომელიც დღითიდღე მტკიცდება და ჭეშმარიტად შემოქმედებითი თანამეგობრობის ხასიათს იღებს.

ამის მაგალითია არა მხოლოდ ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის მასობრივად ჩაბმა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში და მათი დაუცხრომელი სწრაფვა უხვი მოსავლის მოღებისათვის ბრძოლაში, არამედ ის დიდი ზრუნვა, რასაც საკოლმეურნეო სოფელი იჩენს სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის.

ჩვენი რაიონის პარტიული, საბჭოთა, განათლების მუშაკები და კოლმეურნეობები აქტიურად ჩაებნენ 1960-1961 სასწავლო წლისათვის სკოლების საუკეთესოდ მზადებისათვის გაწეულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ამ შეჯიბრებამ ჩაიარა სკკპ XXI ყრილობის გადწყვეტილებებისა და ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ მიღებული კანონის განხორციელებისათვის ბრძოლის ნიშნით.

რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ თავის XXIV კონფერენციაზე მიიღო გადწყვეტილება ყველა სკოლის 1960-1961 სასწავლო წლისათვის ერთ ცვლად მეცადინეობაზე გადასვლისა და მათი მატერიალური ბაზის გაფართოების შესახებ. ამავე დროს ეს იქნება ჩვენი საჩუქარი საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 40 წლისთავის სახელოვანი იუბილესათვის.

ჩვენს რაიონში ერთ ცვლად მეცადინეობა 14 საშუალო, 5 შვიდწლიანი და 5 დაწყებითი სკოლიდან მხოლოდ სამ საშუალო და ამდენსავე დაწყებითს სკოლაში მიმდინარეობდა. ეს კი იწვევდა მთელ რიგ დაბრკოლებებს. ხშირად მეორე ცვლაში მეცადინეობა უხდებოდათ უმცროსი ასაკის ბავშვებს, რომლებსაც სკოლა საცხოვრებელი სახლიდან მოშორებული ჰქონდათ და ამიტომ მათ დაბინდებისას უხდებოდათ შინ დაბრუნება. არ იყო პირობები კლასგარეშე მუშაობის გაწევისათვის, მოსწავლეთა თვითმოქმედების გაფართოებისათვის. ყოველივე ეს გავლენას ახდენდა მოსწავლეთა მეცადინეობაზე და მშობლების უკმაყოფილებასაც იწვევდა.

კოლმეურნეობებმა პარტიულ კონფერენციაზე ითავეს სკოლებისათვის სასკოლო კორპუსების აშენება და საკლასო ოთახებად ვარგისი შენობების გადაცემა. რაიონის კოლმეურნეობათა გამგეობებისა და პარტიული ორგანიზაციების სახელოვნად უნდა ითქვას, რომ მათ ეს ვალდებულება პირნათლად შეასრულეს და სკოლებს გადასცეს 96 საკლასო ოთახი 3.400 კვადრატული მეტრი საერთო ფართობით.

ამ საქმეში განსაკუთრებით ისახელეს თავი ტიბაანის, ვაქირის სტალინის, წნორის რუსთველის, საქობოს კეცხოველის, ძველი ანაგის სტალინის, ნუკრიანის „პარიზის კომუნის", ბოდბის კალინინისა და ორჯონიკიძის სახელობის, მაღაროს კოლმეურნეობებმა, რაიონის მშრომელებმა.

ტიბაანის კოლმეურნეობამ საშუალო სკოლას აუშენა ათოთახიანი შენობა. წნორის რუსთველის სახელობის კოლმეურნეობამ სასწავლო კორპუსი აუშენა წნორის ქართულ საშუალო სკოლას, ხოლო ვაქირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ სოფლის საშუალო სკოლისათვის ააშენა რვაოთახიანი შენობა, ბოდბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ — ცხრაოთახიანი შენობა. ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ შვიდწლიან სკოლას ექვსი საკლასო ოთახი გადასცა.

აქტიური შრომითი მიღწევებითა და რაიონის ზეგეგმითი დაგროვების თანხებით სიღნაღის საშუალო სკოლას დაემატა სასწავლო კორპუსი ექვსი საკლასო ოთახით და კეთილმოწყობილი სახელოსნოთი.

სოფელ ანაგის კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ და კოლმეურნეობა „შრომამ" ამავე სოფლის საშუალო სკოლას გადასცეს 5 ოთახი და სასპორტო დარბაზი. სკოლებს ოთახები გადასცეს აგრეთვე ჯუგაანის, ნუკრიანის, „პარიზის კომუნის" სახელობის და სხვა კოლმეურნეობებმა.

ხირსის სტალინის სახელობის საბჭოთა მეურნეობა უკვე დიდი ხანია შეფობას უწევს ხირსის შვიდწლიან სკოლას. მეურნეობის მუშაკებმა სკოლას გადასცეს ექვსი ოთახი, შეუკეთეს სასკოლო შენობა, შეუძინეს სასწავლო ინვენტარი, წნორის სარემონტო-ტექნიკურმა სადგურმა რუსულ საშუალო სკოლას გადასცა ექვსი ოთახი. ახლა რაიონის სკოლებში კარგი მდგომარეობაა. ჩვენს ბავშვებს აქვთ ნათელი, დიდი საკლასო ოთახები, სხვადასხვა ლაბორატორიები კაბინეტები, სახელოსნოები, კეთილმოწყობილი სასპორტო დარბაზები, სასპორტო მოედნები, სასწავლო მიწის ნაკვეთები.

ჩვენი კოლმეურნეობები საკუთარი სახსრებით კვლავ აშენებენ ახალ საბკოლო შენობებს. შენდება ბოდბისა და ნუკრიანის შვიდწლიანი სკოლები, რომლებიც საექსპლოატაციოდ გადაეცემა მომავალი სასწავლო წლიდან. მშენებლობის პროცესშია აგრეთვე ბოდბის საკოლმეურნეობათაშორისო სკოლა-ინტერნატი 520 მოსწავლისათვის.

ღირსეულად დაფასდა ჩვენი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სახალხო განათლებისა და პარტიული მუშაკების, აგრეთვე მთელი რაიონის მშრომელების წვლილი ამ დიდი სახალხო მნიშვნელობის საქმის წარმატებით განხორციელებაში. 1960-1961 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სბაბავშვო დაწესებულებების მომზადების საქმეში მაღალი მაჩვენებლების მოპოვებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირების საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და თხუთმეტ-თხუთმეტი ათასი მანეთი გადაეცათ მახარაძისა და ჩვენს რაიონს.

ამავე დროს მოპოვებული წარმატებებისათვის „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით დაჯილდოებულია ჩვენი რაიონის სოფ. საქობოს კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ძანაშვილი, ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხ. ბეგიაშვილი, ბოდბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ჯანიაშვილი, ვაქირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. გოგოლაშვილი.

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით დაჯილდოებულია ჩვენი რაიონის ცხრა მუშაკი.

რაიონის სკოლების ერთ ცვლად მეცადინეობაზე გადასვლამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სწავლების დაკავშირებას წარმოებასთან. თუ შევადარებთ გასულ სასწავლო წელს მეორე მეოთხედში მიღწეულ წარმატებას წლევანდელთან, ვნახავთ, რომ ერთ ცვლად მეცადინეობაზე გადასვლამ მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო. გაიზარდა ხუთოსან და ოთხოსან მოსწავლეთა რიცხვი. გაფართოდა მასწავლებელთა კლასგარეშე მუშაობა.

მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელთან შედარებით აკადემიური წარმატება მაღალია, არსებული დონე თანამედროვე მოთხოვნებს ჯერ მაინც ვერ აკმაყოფილებს. საჭიროა ჩვენი სკოლების მასწავლებლებმა გარდაქმნან მუშაობა, იბრძოლონ იმისათვის, რომ აღმოფხვრან მოსწავლეთა გარკვეული ნაწილის სწავლაში ჩამორჩენა, მისცენ ბავშვებს მტკიცე ჩვევები და აღმოფხვრან მათში უდისციპლინობის და სხვა მავნე გამოვლენებათა ჯერ კიდევ არსებული ფაქტები.

სახალხო განათლების მუშაკები, ეშზადებიან რა პარტიის XXII ყრილობისათვის შესახვედრად, კიდევ უფრო აამაღლებენ ყველა საგნის სწავლების იდეურ დონეს, მიაღწევენ იმას, რომ ახალგაზრდობა ღრმად გაეცნოს კომუნისტური მშენებლობის პრობლემებს, სწორად გაიგოს თანამედროვეობის მნიშვნელოვანი საკითხები, უყვარდეს შრომა.

ზ. ბიძინაშვილი,
საქართველოს კპ სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი.

სიღნაღის რაიონის სკოლებში ერთ ცვლად მეცადინეობაზე გადასვლამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სწავლების გაუმჯობესებას.

• • •

სურათზე: საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი (მარჯვნიდან პირველი) რაიონის სკოლების ახალი ამოცანების შესახებ ესაუბრება მოწინავე პედაგოგებს გ. მათეშვილს, მ. შიხაშვილს, ნ. ვარამაშვილსა და თ. მანჯაფარაშვილს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუოგლიური სითგო...

განა მარტო ჩვენი შვილეგისათვის!?

ოცდამეორე წელია წნორის საშუალო სკოლის დირექტორად ვმუშაობ და არ მახსოვს იმდენი გაკეთებულიყოს ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში, რაც გასულ წელს გაკეთდა.

წნორის ქართულ საშუალო სკოლას ორ ცვლად უხდებოდა მუშაობა. ამავე შენობაში მესამე ცვლაში მუშაობას იწყებდა წნორის მუშაახალგაზრდობის საშუალო სკოლა. შენობაში მეცადინეობა იწყებოდა დილის 8 საათზე და მთავრდებოდა 19 საათზე, ასეთ პირობებში, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თითქმის შეუძლებელი ხდებოდა სანიტარული მინიმუმის მოთხოვნათა დაცვა.

წნორი ტერიტორიით დიდია, ზოგიერთი ბავშვის ბინა სკოლის შენობას შეიძლება კილომეტრით და მეტითაც იყოს დაშორებული. შემოდგომისა და ზამთრის თვეებში მეორე ცვლის მეოთხე და მეხუთე გაკვეთილს ღამე უსწრებდა. ამიტომ ყოველ საღამოს მინდვრის სამუშაოებიდან დაღლილი კოლმეურნეები სკოლისკენ მოეშურებოდნენ, რათა შინ წაეყვანათ III და IV კლასების პატარა ბავშვები, ცოტა შრომას როდი ხარჯავდა დაწყებითი კლასების მასწავლებელი, რათა ყველა ბავშვი უვნებლად მიეცილებინა სახლამდე. უდიდესი სიძნელეები გვხვდებოდა კომკავშირული, პიონერული და კლასგარეშე მუშაობის გაშლისათვის; მეორე ცვლაში შენობის დატვირთვა ხშირად ბევრი სასარგებლო პედაგოგიური წამოწყების ჩაშლის ან გაფერფლების მიზეზი ხდებოდა, და აი დაიწყო 1960-61 სასწავლო წელი. წნორის ქართულმა საშუალო სკოლამ მიიღო ახალი ორი კორპუსი რვა საკლასო ოთახით, რომელთა ფართობი 460 კვადრატულ მეტრს შეადგენს. ეს დიდი ამაგი სკოლას დასდო წნორის რუსთველის სახელობის კოლმეურნეობამ. ხალისით მუშაობდნენ კოლმეურნეები, მასწავლებლები, მოსწავლეები, მუშა-მოსამსახურეები, მათი ასეთი ერთსულოვანი მუშაობის შედეგად იყო, რომ მშენებლობა ერთ-ერთნახევარ თვეში დამთავრდა. და ეს განა მარტო ჩვენი შვილებისათვის გაკეთდა! — ეს ხომ საშვილიშვილო საქმეა.

ი. ჭაბაშვილი,
წნორის ქართული საშუალო სკოლის დირექტორი.

ისწავლე, სწავლის მაძიებელო!

წარსულის ფურცლებიდან

საქართველოს რომელ კუთხეს ეტყვით, რომ თავისი მომხიბლავი ბუნებით არ ატყვევებდეს ადამიანს. თავისებური სილამაზეა ყველგან: ზოგან მთების სიღიადე გიბიბლავთ და გიტაცებთ, ზოგან ხეების შესანიშნავი ჰეიზაჟები და ბარის ველ-მინდვრები.

ერთ-ერთი ასეთი კუთხეა კახეთის ეს მხარე, სიღნაღის რაონი. აქ ბუნებას თითქოს თავისი მაღლი დაუხვევიაო. ერთი მხრივ ცად აზიდული მთები, მეორე მხრივ კი ალაზნის ცისკიდემდე გაშლილი ველი. რა შესანიშნავი სანახაობა წარმოუდგება ადამიანს თვალწინ, როცა იგი მთაზე შეფენილი ძველი ქალაქიდან გადახედავს ამ მომხიბლავ ველს.

ლამაზია ალაზნის ველის სოფლები. რომელი ერთი დავასახელოთ — წნორი თუ ვაქირი, საქობო თუ ჯუგაანი. ხირსის საბჭოთა მეურნეობას ხომ სილამაზით ბადალი არა ჰყავს მთელ რაიონში. მოასფალტებული შარაგზები, ბაღ-ვენახებში ჩამჯდარი კოხტა სახლები. ყველგან გრძნობთ გამრჯე შრომელის ხელს. და ასეთი სოფლები სიღნაღის რაიონში ცოტა როდია. სოფლებიო ვიტყვით, თორემ ზოგი მთგანი სიდიდითა და კეთილმოწყობით ბევრ დაბას არ ჩამოუვარდება.

სიღნაღელები ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო დიდ შრომითს წარმატებებს აღწევენ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების 40 წლის მანძილზე დიდია სახალხო განათლების განვითარების საქმეში მოპოვებული წარმატებებიც.

მეფის მთავრობა შეგნებულად უქმნიდა ხალხს დაბრკოლებებს განათლების მიღებაში. აი რას წერს ამის შესახებ გაზეთი „ხმა კახეთისა" თვის 1912 წლის 21 ოქტომბრის ნომერში.

„სწავლა-განათლებით თელავი თავის მოძმე სიღნაღს ბევრით არ გაუსწრობს. ეგ აერის, აქ სასულიერო სასწავლებელი არსებობს და შარშან თავად-აზნ. და ქალაქმა ეაფთა პროგიმნაზია გახსნეს, მხოლოდ წმ. ნინოს სასწავლებელს კლასები მოემატა და გიმნაზიად გადაკეთდა. ამ ორ უკანასკნელ სასწავლებელში, მარტო შეძლებულთა შვილები იზრდებიან, რადგანაც სწავლის ფული დიდია, მხოლოდ შეუძლებელთა წრისათვის იაფ-ფასიანი პრეველ დაწყებითი სასწავლებლები ვერ აკმაყოფილებენ სწავლის მოთხოვნილებას და ყოველ წელს მრავალი ბავშვი რჩება სკოლის გარეშე".

მეორე კორესპონდენტი იმავე გაზეთის უფრო ადრინდელ ნომერში სოფლის სკოლების მდგომარეობის შესახებ აღნიშნავდა:

„საკმარისია შეიაროთ სწავლების დროს ორ-სამ სოფლის სკოლაში, რომ კარგათ გაიცნოთ ის აუტანელი პირობები, რომელშიც უხდებათ მეცადინეობა სოფლის პატარა ბავშვებს. დაძონძილ-დაკონკილნი, სიცივით გაყინულ კლასში სხედან და მეცადინეობენ!

„ბრიად მოკლებულნი არიან წყლის მზიდავსაც, სკოლის მოსამსახურესაც. ასე რომ უწყლოთ, მოუველ-გაუთბობს ამ „მეცნიერების ტაძარში" „ჭაბავნიან ბავშვს მშობლები".

სავალალო მდგომარეობაში იყო სწავლების მეთოდიკა. სწავლა-განათლების საქმე მაშინ იმყოფებოდა სასულიერო პირების და დაბალი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების ხელში.

სასკოლო ქსელის სიმცირის გამო, მოსახლეობა იძულებული იყო ბავშვები წერა-კითხვის შესასწავლად მიებარებინა კერძო მასწავლებლებისათვის, რომლებიც ბავშვებს თავიანთ სახლებში ასწავლიდნენ. საშინაო სკოლები ეწყობოდა ცალკე ვაჟებისათვის და ცალკე ქალებისათვის. აი რას წერს ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ალექსი მირიანაშვილი თავის მოგონებაში ერთ-ერთი ასეთი საშინაო სკოლის შესახებ:

„6-7 წლისა თუ ვიქნებოდი, როცა მამამ ვაქირის დაწყებითი სკოლაში მიმბარა, სადაც მასწავლებლობდა იქაური მღვდელი-ბლაღოჩინი ხატიაშვილი, რომელსაც სკოლა ხვთის ინაბარად ჰქონდა მიტოვებული. ბავშვები მოვიდოდნენ ადრე და მხოლოდ მზის ჩასვლისას წავიდოდნენ შინ. აქ ყოველგვარ საძალობას ჰქონდა ადგილი, არ იყო მხოლოდ წიგნის სწავლა.

ამგვარი მდგომარეობის გამო სოფლებში იშვიათად ნახავდით წერა-კითხვის მცოდნე ადამიანს. „მაშნაარი პატარა სოფელია ეზიაში, — წერდა გაზეთი „ხმა კახეთისა" 1913 წ. 10 იანვრის ნომერში, — და მზებარეობს სიღნაღიდან ერთი ვერსის მანძილზე. სოფლის მცხოვრებნი ორას-ოთხმოც კომლამდე სახელმწიფო გლეხები არიან და მასში არცერთმა ფარსაგანი წერა-კითხვა არ იცის". ასეთივე მდგომარეობა იყო მაშინდელი სიღნაღის მაზრის სხვა სოფლებში. გაზეთ „ხმა კახეთისას" კორესპონდენტი ტიბაანიდან იტყობინებოდა:

„ჩვენს სოფელში იშვიათი კაცი მოიპოვება, რომელმაც იცოდეს წერა-კითხვა; მართალია, არის ამ სოფელში ერთი სამრევლო სკოლა, იგი თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს... მართალია, მოწაფეებმა წერა-კითხვა იციან, მაგრამ მოგვხსენებათ, რომ კაჟკაჟებმაც იციან ლაპარაკი — სიტყვების მნიშვნელობა კი არა გიგებებთ რა".

არანაკლებ სავალალო მდგომარეობაში იყო სახალხო განათლების საქმე მენშევიკების დროს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სრულიად იცვალა სახე ძველი სიღნაღის მაზრამ. ახლა რაიონში ვერ ნახავთ ოჯახს, სადაც არ იყვნენ უმაღლესი ანდა საშუალო განათლების მქონე ადამიანები. გაიზარდა მოსახლეობის კულტურული ცხოვრების დონე.

თუ გაზეთ „ხმა კახეთისას" კორესპონდენტი თავის ერთ-ერთ წერილში იტყობინებოდა, რომ დაბალი იყო ჩვენი ქალაქების სიღნაღის და თელავის გონივრული ცხოვრების დონე და წერდა, სამეიკიტნოები ბევრია ორივე ქალაქში, თეატრი კი არც ერთში არ არისო, ახლა ამის საპირისპიროდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიღნაღის რაიონში არის სახალხო თეატრი, 15 კლუბი, ამდენივე ბიბლიოთეკა, 3 კულტურის სახლი, 3 სასოფლო სამკითხველო, 1 სარაიონო ბიბლიოთეკა, 2 მუზეუმი და სხვ.

განსაკუთრებით დიდ წარმატებას მიაღწია სიღნაღის რაიონში სწავლა-განათლების საქმეშ. თუ წინათ სიღნაღის მაზრაში, რომელიც სიღნაღის რაიონს გარდა აერთიანებდა წითელწყაროს, ლაგოდეხის და ნაწილობრივ გურჯაანის რაიონების ტერიტორიას, არსებობდა ორი სასწავლებელი ვაჟებისა და ქალებისათვის და რამდენიმე სამრევლო სკოლა, ამჟამად რაიონში 14 საშუალო, 1 რვაწლიანი, 4 შვიდწლიანი, 5 დაწყებითი, 1 მუშა ახალგაზრდობის, 5 სოფლის ახალგაზრდობის სკოლებია, 2 სკოლა-ინტერნატი. მოსწავლეთა რიცხვი 7.762 შეადგენს, არის აგრეთვე მაჩხაანის სასოფლო-სამეურნეო ზოოტექნიკუმი.

სკოლებში მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეს ემსახურება 677 მასწავლებელი, მათ შორის უმაღლესი განათლების მქონე 350, უმაღლესდაუმთავრებელი, მაგრამ მათთან გათანაბრებული 109, ხოლო საშუალო განათლების მქონე 218 მასწავლებელი.

რაიონის სკოლებს ყოველწლიურად ემატება ახალი სასკოლო ნაგებობანი, კეთილმოწყობილი სახელოსნოები, ლაბორატორიები, სასპორტო დარბაზები. უმჯობესდება სწავლების პირობები.

მიმდინარე 1960-61 სასწავლო წლისათვის რაიონის მშრომელებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს — განახორციელეს სკოლების ერთ ცვლად მეცადინეობაზე გადაყვანა. ახლა მოსწავლეებს შექმნილი აქვთ სწავლების საუკეთესო პირობები.

ლ. ხუბულური,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

პატარები უკეთ სწავლობენ

უკვე 15 წელია ვმუშაობ სოფელ მაღაროს საშუალო სკოლის მეოთხე კლასის მასწავლებლად. და უნდა ვთქვა, რომ არასოდეს ისეთი პირობები არა მქონია კლასგარეშე მუშაობის გასაშლელად, როგორც მიმდინარე სასწავლო წელს. ამის მიზეზი კი ის არის, რომ მთელი ჩვენი სკოლა ერთ ცვლად მეცადინეობაზეა გადასული. ახლა უკვე მეტი დრო მაქვს ჩამორჩენილ მოსწავლეებთან დამატებითი მეცადინეობისათვის, კლასგარეშე მუშაობისათვის. ამიტომაც პატარები უკეთ სწავლობენ.

1960-61 სასწავლო წლის 1 სექტემბერიდან ჩვენ უკვე ერთ ცვლად მეცადინეობაზეა ვართ. გვაქვს ფიზიკის, ქიმიის კაბინეტები, კარგად მოწყობილი პიონერთა ოთახი, ბიბლიოთეკა, ფიზკულტურული მოედანი. სკოლას აქვს სასწავლო ნაკვეთი დამუშავებული მოსწავლეების ხელით. ჩემი კლასის მოსწავლეებმა წელს კარტოფილის, ლობიოს, ხახვის საუკეთესო მოსავალი მიიღეს.

თ. ძნელაშვილი,
სოფელ მაღაროს საშუალო სკოლის მასწავლებელი.

სინათლე, მზე მეფოგს კლასში

გულითადი ზრუნვა

სოფელ საქობოში ერთი საშუალო სკოლა და ერთი რვაწლიანი სკოლა გვაქვს. საშუალო სკოლას ჯერ კიდევ გასული წელს ავუშენეთ და გადავეცით ორი საკლასო ოთახი, ხოლო მიმდინარე სასწავლო წლისათვის გადავეცით კოლმეურნეობის ყოფილი ორსართულიანი კანტორა, რომელიც გადავაკეთეთ რვა საკლასო ოთახად. 8-წლიან სკოლას კი ავუშენეთ და გადავეცით ოთხი საკლასო ოთახი. მიმდინარე წელს სკოლის მშენებლობასა და რემონტზე სულ 82.700 მანეთი დაახარჯა. სკოლის სახსრები გამოყენებულ იქნა მხოლოდ 12.800 მანეთი.

ამ ღონისძიებათა განხორციელებამ უზრუნველყო ორივე სკოლაში ერთ ცვლად მეცადინეობაზე გადასვლა, რამაც გაუმჯობესა სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობა.

მომავალი წლისათვის განზრახული გვაქვს საშუალო სკოლას დამატებით ავუშენოთ და გადავცეთ 4-6 საკლასო ოთახი კლას-კაბინეტების მოსაწყობად. თვითეული მშრომელი ისე ზრუნავს სკოლისათვის, როგორც საკუთარი ოჯახისათვის, და ეს გასაგებიც არის. სკოლა ხომ სახალხო საქმეა.

ი. ძანაშვილი,
სოფელ საქობოს კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

საბჭოთა საშუალო სკოლა მოწოდებულია მოამზადოს განათლებული ადამიანები, რომლებმაც კარგად უნდა იცოდნენ მეცნიერებათა საფუძვლები და რომლებსაც ამასთანავე უნდა შეესწავლათ სისტემატური ფიზიკური შრომის უნარი, ჩაუნერგოს ახალგაზრდობას მისწრაფება, სასარგებლო იყოს საზოგადოებისათვის, აქტიურად მონაწილეობდეს საზოგადოებისათვის საჭირო ფასეულობათა წარმოებაში.

კანონიდან — „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ".

საქმეს კომუნისტები უძღვნიან

ჩვენს კოლმეურნეობას დავალებული ჰქონდა შვიდწლიანი სკოლის შენობისათვის დამატებითი კლასების აშენება, რითაც უზრუნველყოფილი იქნებოდა მეცადინეობის ერთ ცვლაზე გადასვლა. დავალების შესასრულებლად კოლმეურნეობის გამგეობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ წინასწარ მოამზადეს საშენი მასალები, მშენებლობის ხელმძღვანელად გამოჰყვეს კომუნისტი გ. ბეგიაშვილი და მასთან ერთად შეარჩიეს მშენებელთა ჯგუფი. საქმეს ყველგან კომუნისტები უძღოდნენ.

დაიწყო მშენებლობა. თავი გამოიჩინეს მ. ტუხაშვილმა, რ. ჯალიაშვილმა, მ. ბეგიაშვილმა, დ. ზურაშვილმა, ზ. ღვედაშვილმა, ი. ტალიაშვილმა და სხვებმა. მაღალნაყოფიერად იშრომეს ავტომძღოლებმა, რომლებიც შეუფერხებლივ ეზიდებოდნენ სხვადასხვა სახის მასალებს.

მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობდნენ სკოლის მასწავლებლები, მოსწავლეები და სოფლის ახალგაზრდობა. ასეთი შრომის შედეგად, 1960-61 სასწავლო წლისათვის სოფელ ძველი ანაგის ბავშვებმა მიიღეს ექვსი სასწავლო ოთახი, რითაც უზრუნველყოფილ იქნა მოსწავლეთა ნორმალურ პირობებში სწავლება.

სოფლის შვიდწლიანი სკოლის მოსწავლეები, თავის მხრივ, აქტიურ მონაწილეობას იღებენ საკოლმეურნეო შრომაში. მათ თავი ისახელეს აბრეშუმის ხარისხიანი პარკის მიღებაში და კოლმეურნეობას ჩააბარეს 420 კილოგრამი ხარისხოვანი პარკი, ასევე მოსწავლე ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღეს საშემოდგომო-საზამთრო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში.

ა. ბეგიაშვილი,
სოფელ ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგი.

სურათზე: **წნორის საშუალო სკოლის მასწავლებელი მ. გრიგოლია (მარცხნიდან მეორე) მემცენარეობის საფუძვლებში ამეცადინებს ამავე სკოლის მერვეკლასელებს ც. ჯავაშვილს, ნ. ფოლადაშვილს და ნ. მენთეშაშვილს.**

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

აი რას იძლევა ერთცვლიანი მეცადინეობა

ვმუშაობ სიღნაღის რაონის სოფელ ბოდბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში. მყავს ორი შვილი. მაღლობელი ვარ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისა, რომლებმაც შეგვიქმნეს იმის პირობები, რომ ჩვენმა შვილებმა ჩვენსავე სოფელში მიიღონ საშუალო განათლება.

ორმოცი წლის წინათ ჩვენს სოფელში იყო ორკლასიანი სკოლა, რომელიც პატარა ფიცრულში იყო მოთავსებული. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი სოფელში დაარსდა ჯერ ოთხკლასიანი, შემდეგ შვიდკლასიანი, ხოლო 1934 წლიდან მუშაობს საშუალო სკოლა.

წლევანდლამდე ჩემი გოგონები მეორე ცვლაში სწავლობდნენ, რაც ჩემთვის მეტად უხერხული იყო. ბავშვები სკოლაში მიდიოდნენ მაშინ, როცა მე საქმეზე ვიყავი. მეცადინეობა მთავრდებოდა გვიან, ზამთრობით კი ღამით, და მე მიხდებოდა დაღლილს სკოლაში წასვლა გოგონების მოსაყვანად. ჩემი დარეკანი და ნუნუ კარგად სწავლობდნენ, მაგრამ ფრიადოსნები მაინც არ იყვნენ.

ღღეისათვის სკოლა ერთ ცვლად მუშაობს. ახლა ჩემი ბავშვები მაშინ მივიან სკოლაში, როცა მე — სამუშაოდ. 3-4 საათზე უკვე სახლში არიან. მეც დაახლოებით ამ დროისათვის ვბრუნდები სამუშაოდან. მტკიცე კონტროლის დაწესებამ შედეგი გამოიღო. მიმდინარე სასწავლო წლის უკვე პირველ მეოთხედიდან ორივე შვილი ფრიადოსანი გახდა.

თ. ჟუსიკაშვილი,
სოფელ ბოდბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი

ახალი სასკოლო შენობა, ახალი სიხარული

წლების მანძილზე ჩვენი სკოლა ორ ცვლად მუშაობდა. ეს აძნელებდა სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობას. დაბალი იყო მოსწავლეთა აკადემიური წარმატება.

მიმდინარე სასწავლო წელს მდგომარეობა სავსებით შეიცვალა. ახლა ჩვენს სკოლას მოუმატა ახალი სასკოლო შენობა, რომლის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს როგორც მასწავლებლებმა, ისე მოსწავლეებმა, მშობლებმა.

ხალხის შრომას შედეგიც მოჰყვა. მივიღეთ 440 კვ. მეტრი ფართობის შენობა. გარდა ამისა, კოლმეურნეობამ სკოლას გადასცა სამი ოთახი სახელოსნოს მოსაწყობად. რის შედეგადაც ჩვენი სკოლის 459 მოსწავლე ერთ ცვლად მეცადინეობაზე გადავიდა. დაინერგა სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობა, გაუმჯობესდა სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. მოსწავლეები თვითონ წმენდენ იატაკს, უფრთხილდებიან სასკოლო ქონებას. სკოლაში განმტკიცდა დისციპლინა.

ერთ ცვლად მეცადინეობაზე გადასვლამ სკოლა მჭიდროდ დაუკავშირა ცხოვრებასთან, საკოლმეურნეო შრომასთან. სასოფლო-სამეურნეო ზოოტექნიკუმი.

სკოლებში მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეს ემსახურება 677 მასწავლებელი, მათ შორის უმაღლესი განათლების მქონე 350, უმაღლესდაუმთავრებელი, მაგრამ მათთან გათანაბრებული 109, ხოლო საშუალო განათლების მქონე 218 მასწავლებელი.

რაიონის სკოლებს ყოველწლიურად ემატება ახალი სასკოლო ნაგებობანი, კეთილმოწყობილი სახელოსნოები, ლაბორატ

კონგოს, ღუმუმბას ბედი
მსოფლიოს ყურადღების ცენტრში

ლონდონი, 10 თებერვალი. (საკდესი), როგორც ინგლისელი კორესპონდენტები კონგოდან და ბელგიიდან იუწყებიან, ლეოპოლდვილსა და ბრიუსელში სულ უფრო განმტკიცდა მითქმა-მოთქმა იმის შესახებ, რომ პრემიერ-მინისტრი პატრის ლუმუმბა მოკლეს ბელგიელთა დამპყრობის ჩომბეს ჯალათებმა. გაზეთ „დეილი ტელეგრაფის“ ლეოპოლდვილელი კორესპონდენტი **ჯონ რიდლი** ამ მითქმა-მოთქმის გამო წერს: „უკანასკნელად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ლუმუმბა ნახეს 17 იანვარს ელიზაბეტვილის აეროდრომზე, სადაც იგი ტისვილიდან ჩაიყვანეს. ბევრი მხილველი მოწმე იყო იმისა, თუ რა სასტიკად ექცეოდნენ მას. ერთხანს ფიქრობდნენ, რომ იგი იმყოფებოდა ყოფილის სამხედრო საპყრობილეში, ელიზაბეტვილის ჩრდილო-დასავლეთით. უფრო მოგვიანებით მიღებულ იქნა ცნობა, რომ იგი გაგზავნილია „გაურკვეველი მიმართულებით“. ლუმუმბას არაერთხელ სასტიკად სცემეს. უკანასკნელ კვირეებში სულ უფრო ხშირად მოდიოდა ცნობები, რომ იგი მოკლეს. 9 თებერვალს ლეოპოლდვილისა და ბრაზავილის რადიოსადგურებმა გადმოსცეს, რომ ლუმუმბა სიკვდილითაა დასჯილი.

ინგლისის პრესა ლუმუმგასადმი ანგარიშის გასწორების შესახებ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების სარდლობა, რომელმაც ლუმუმბა ჯალათებს ჩაუგდო ხელში, დანაშაულებრივ გულგრილობას იჩენს მისი ბედისადმი, როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ლუმუმბას შესაძლო მკვლელობის შესახებ კითხვაზე განაცხადა: „მე არ ვიცი, ცოცხალია თუ მკვდარი, ჩვენ ისიც არ ვიცით, თუ სადაა იგი.“

კონაკარი, 10 თებერვალი. (საკდესი). ადგილობრივ ჟურნალისტთა წრეების აზრით ლუმუმბას მიმართ ფიზიკური ანგარიშის გასწორების შესახებ ხმების გავრცელება დროის მიხედვით თან დაემთხვა იმას, რომ ელიზაბეტვილს — ჩომბეს ბუნაგში — ჩავიდა ყოფილი საფრანგეთის კონგოს პრეზიდენტი ფიელბერ იულუ.

მალის პრეზიდენტმა მოდიბო კეიტამ ამასწინანდელ განცხადებაში ბრალი დასდო ფიელბერ იულუს ლუმუმბას მკვლელობის შესახებ შეთქმულებისადმი მიკერძოებაში. მოდიბო კეიტამ აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ იანვრის დამდეგს ფიელბერ იულუმ მოაწყო მობუტუს „გენერალურ კომისართა საბჭოს“ თავმჯდომარისა და საფრანგეთის გაერთიანების გენერალური მდივნის ფოკარტის შეხვედრა. ფოკარტის მეშვეობით, თქვა მოდიბო კეიტამ, „შომბოკომ კონტაქტი დაამყარა სპაააკთან, „ეენერალ დიუ კონგოს კომპანიის“ დელეგაციასთან და როშტილდთან. ბელგიელებმა და კონგოში ამ საერთაშორისო კომპანიის სხვა აქციონერებმა კასაბლანკაში მიღებული რეზოლუციების შემდეგ გადაწყვიტეს, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოაწესრიგონ ლუმუმბას პრობლემა კონგოს პრემიერ-მინისტრის ფიზიკური მოსპობის გზით“.

შეეხო რა ლუმუმბას მკვლელობის გეგმის დეტალებს, მალის პრეზიდენტმა მოდიბო კეიტამ თქვა: „პარიზში შეაგროვებენ 800.000 ბელგიურ ფრანკს და გაგზავნიან ბრაზავილს, საიდანაც ამ ფულს კონგოში გადაიტანენ. ამ პირველი შენატანიდან გადაუხდიან დაქირავებულ მკვლელებს, მოეწყობა ლუმუმბას განმეორებითი გაქცევა იმისათვის, რომ მკვლელებს საშუალება მისცენ ჩაიდინონ დანაშაული. ზედმეტი როდია იმის გახსენება, რომ ლუმუმბას პირველი გაქცევის დროს ბელგიის ზოგიერთი გაზეთი იუწყებოდა: „რა სისულელე დაუშვეს, რომ დააპატიმრეს! ჩვენ შეგვეძლო მყისვე მოგვეწესრიგებინა ეს საშინელი პრობლემა“.

* * *

პარიზი, 9 თებერვალი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო ბრიუსელიდან იუწყება, ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა პიერ ვინიმ, რომელიც წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიაში გამოვიდა, განაცხადა, რომ ბელგიის მთავრობა არ ამირებს გამოიწვიოს თავისი პოლიტიკური მრჩეველები კონგოდან.

ვინიი ამართლებდა ბელგიელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების ყოფნას კატანგაში და გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ დაწესდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეურვეობა კონგოში, რაც, მისი აზრით, „ნეოკოლონიალიზმი“ იქნება.

მაგრამ მინისტრმა აღიარა, რომ თუ ბელგია შეეცდება „ძალით აღადგინოს წესრიგი“, ესე იგი ბელგიელი კოლონიზატორებისათვის სასურველი წესრიგი, ამას შეიძლება მოჰყვეს „კორეის“ ახალი ომი.

კენედის წერილი
ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისადმი

ვაშინგტონი, 9 თებერვალი. საკდესის კორესპონდენტი **გ. შიშკინი** იუწყება: დღეს პრეზიდენტმა კენედიმ კონგრესს გაუგზავნა სპეციალური წერილი ამერიკის შეერთებული შტატების ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მდგომარეობის შესახებ. ამ მორიგ წერილში მოყვანილია ფაქტები ამერიკის წინაშე მდგომი ძნელი პრობლემების შესახებ. ისინი ცხადყოფენ, თუ რა სერიოზული მანკიერებაა დაავადებული ამერიკის სამედიცინო მომსახურებისა და მედიცინის კადრების მომზადების მთელი სისტემა.

ამ მანკიერი სისტემის პირდაპირი შედეგია, აღნიშნულია წერილში, ის ფაქტი, რომ ახალი ეფექტიანი მედიკამენტები და მკურნალობის მეთოდები „ძალიან ხშირად მიუწვდომელია იმათთვის, ვისაც ყველაზე უფრო მეტად სჭირდება“. ფულადი სახსრების, შესაბამისი რესურსების უქონლობისა და კვალიფიციური პერსონალის ნაკლებობის გამო, ნათქვამია წერილში, „ძლიერ ბევრი ადამიანი ვერ იღებს იმას, რასაც მათთვის უზრუნველყოფს სამედიცინო მეცნიერება“.

პრეზიდენტი ბაზგასმით აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია 65 წლისაზე მეტი ასაკის 16 მილიონი ამერიკელი, რადგანაც „მათი სამედიცინო საჭიროების ხარჯები ერთიორად უფრო დიდია, შემოსავალი კი საშუალოდ ერთიორად უფრო ნაკლები, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობისა“. ამ ადამიანთა უიმედო მდგომარეობის მაგალითად წერილში მოყვანილია ის ფაქტი, რომ იმ ღრმად მოხუცებულთა 50 პროცენტის ხარჯები, რომლებიც საავადმყოფოებში მკურნალობენ, წელიწადში 700 დოლარზე მეტს შეადგენს, ესე იგი საშუალო წლიური შემოსავლის ერთ მესამედზე მეტს. „ბევრს, — ხაზგასმულია წერილში, — არ შეუძლია გაიაროს საჭირო მკურნალობა“.

ამერიკის სამედიცინო მომსახურების სისტემის სერიოზულ ნაკლოვანებად წერილში აღნიშნულია საავადმყოფოების, ექიმებისა და კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის ქრონიკული ნაკლებობა. შეერთებულ შტატებში ახლა აკლიათ 500 ათასი საავადმყოფო ადგილი.

წერილში აღიარებულია, რომ ექიმებისა და სამედიცინო სასწავლებლების ნაკლებობა იოხსნება იმით, რომ სამედიცინო განათლება ხელმისაწვდომია მხოლოდ შეძლებულ ამერიკელთათვის. საშუალოდ ოთხწლიანი სწავლების კურსი სტუდენტს 10 ათას დოლარზე მეტი უჯდება. თავის წერილში კენედი დიდ შეშფოთებას გამოთქვამს ბავშვთა ცუდი მდგომარეობის გამო შეერთებულ შტატებში. წერილში აღნიშნულია, რომ ბავშვთა ბევრი მოთხოვნილება ჯერ კიდევ ვერ კმაყოფილდება. „ბევრი ბავშვი, ნათქვამია წერილში, — კვლავ იხოცება სიცოცხლის პირველ თვეებშივე. ბევრს არ უცხრიან იმ დაავადებათა საწინააღმდეგოდ, რომელთა თავიდან აცილება შეიძლებოდა და უზრუნველყოფილი არ არიან საკმაო კვებით“.

თავის წერილში კენედი არ სახავს რადიკალურ ღონისძიებებს, რათა აღმოიფხვრას ამერიკის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ნაკლოვანებანი. იგი პირდაპირ აღიარებს, რომ ამი ნიადაგდებები უაღრესად უბრალო ხასიათისაა. და მიზნად ისახავენ უზრუნველყონ მხოლოდ პირველი რიგის, აბსოლუტურად აუცილებელი მოთხოვნილებანი. პრეზიდენტი წინადადებას აყენებს უზრუნველყონ ღრმად მოხუცებულთა სამედიცინო მომსახურების ხარჯების ნაწილობრივი დაფარვა სოციალური დაზღვევის სისტემის საშუალებით. იგი აღნიშნავს, რომ ამ წინადადების განხორციელება სახელმწიფოს ერთი ცენტიც არ დაუჯდება, რადგანაც იგი უზრუნველყოფილი იქნება სოციალური დაზღვევის შენატანების გადიდებით. „ეს არის — მომხმარებლის მიერ ჯანმრთელობის დაცვის ხარჯების წინასწარ ანაზღაურებული პროგრამა“. — ხაზგასმულია წერილში.



„აჯანყება ახლოვდება“

ბრიუსელი, 9 თებერვალი. (საკდესი). ბელგიის გაზეთი „სტანდარდი“ სათაურით „აჯანყება ახლოვდება“ წერს, რომ პორტუგალიაში ეწყობა სალაბარის საწინააღმდეგო გამოსვლები.

როგორც გაზეთი იუწყება, ქალაქ პორტოში ოთი საარმიო ბატალიონი აჯანყდა მთავრობის წინააღმდეგ. ტორე-დასარეულნის რაიონში მეოთე ბატალიონის ჯარისკაცებისა და ოფიცრების ხაწილი წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ წავიდა თვრამეტი, სადაც შეუერთდა შეიარაღებულ პარტიზანებს, როძლებიც ოქმედებენ ქალაქ ბრაგის რაიონში.

გარდა ამისა, წერს გაზეთი, პორტუგალიაში გაიზარდა არალეგალური რადიოცენტრების რიცხვი.

„სანტა მარიას“ ხელში ჩაგდებამ, უდავოა, ხელი შეუწყო ოპოზიციის არალეგალურული საქმიანობის გაძლიერებას.

„სტანდარდი“ იუწყება აგრეთვე, რომ დაატიმრეს ორი ახალგაზრდა პორტუგალიელი, რომლებსაც უხდოდათ გადაელახათ საზღვარი და პეტიციები მიეკონდათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ჰამარშელდის სახელზე. როგორც ჩანს, პეტიციას ხელი მოაწერა სულ ცოტა 15 ათასმა კაცმა. ოპოზიციის წრეებში მიაჩნიათ, რომ ამჟამად მეიქმნა ხელსაყრელი მდგომარეობა, რათა მოხდეს გაძოსვლა სალაზარის რეჟიმის წინააღმდეგ საერთაშორისო მასშტაბით, კერძოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

მოღალატის განზრახვა

აკრა, 9 თებერვალი. (საკდესი). გაზეთი „განა ტაიმსი“ იძოწმებს რა უტყუარ ცნობებს, იუწყება, რომ ყოფილი საფრანგეთის კოგოს (დედაქალაქი ბრაზავილი) ხელისუფლნი კასავუბუს თხოვნით ამ ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონში ამზადებენ დასაჯდომ მოედნებს, რომლებზეც განლაგდება მობუტუს ავიაცია. როგორც გაზეთი იუწყება, მობუტუს განზრახული აქვს მოაწყოს „მაკოსებრი ოპერაციები“, რათა დაბომბოს კონგოს აღმოსავლეთი პროვინცია, სადაც ხელისუფლება კანონიერი მთავრობის ხელშია, აგრეთვე მისი მოსაზღვრე ეკვატორული პროვინცია.

ტელეგრამები გვატყობინებენ

△ ბოკაიდოს კუნძულის (იაპონია) ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 7 თებერვლიდან გრძელდება უძლიერესი ქარბუქი. წინანდელი ქარბუქის შედეგად გადაიდო 90 საძგზავნო და საბოიი სატვირთო მატარებლის რეისები. ქალაქ კუსიროში ქარბუქმა სახლი დაანგრია. ხუთი ბავშვი, რომლებიც სახლში იყვნენ, ნანგრევებში ჩაიმარხა და დაიღუპა. მათი მშობლები მძიმედ დაშავდნენ.

* * *

△ ლა-მანშში 80 მილზე ბიჩიხედის კონცხიდან შტორმის დროს დაიღუპა ნორვეგიის გემი „ბრაგა“. ეკიპაჟის წევრები და მგზავრები გადაარჩინეს.

* * *

△ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეროვნულმა კრებამ შექმნა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ახალი მუდმივი კონსტიტუციის შემმუშავებელი კომიტეტი ეროვნული კრების 90 დეპუტატის შემადგენლობით. კომიტეტში შედიან როგორც ეგვიპტის რაიონის, ისე სირიის რაიონის წარმომადგენელნი.

* * *

△ ინდოეთში დაიმსხვრა ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალების საწვრთნელი თვითმფრინავი. პილოტი დაიღუპა. (საკდესი).

დე გოლისა და ადენაუერის მოლაპარაკება

პარიზი, 9 თებერვალი. საკდესის კორესპონდენტი **გ. დრაგუნოვი** იუწყება: პარიზში დიდი დიპლომატიური აქტივობაა. დღეს აქ ჩამოვიდა დასავლეთ გერმანიის კანცლერი ადენაუერი პრეზიდენტ დე გოლთან მოსალაპარაკებლად. ხვალ იხსნება „საერთო ბაზრის 6 ქვეყნის (საფრანგეთი, დასავლეთი გერმანია, იტალია, ბელგია, ლუქსემბურგი, ჰოლანდია) პრემიერ-მინისტრების თათბირი.

ადენაუერისა და დე გოლის მოლაპარაკება უაღრესად საიდუმლო ვითარებაში მიმდინარეობს. მოლაპარაკებას ამ ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებიც კი არ დაესწრებიან. მაგრამ როგორც პრესა ამტკიცებს და აქაური პოლიტიკური მეთვალყურეები ფიქრობენ, მოლაპარაკება საკითხთა ორ ჯგუფს შეეხება. საკითხთა პირველი ჯგუფი დაკავშირებულია „ექვსეულის“ ქვეყნების მთავრობათა მეთაურების თათბირთან, რომელიც ხვალ უხდა გაიმართოს და რომელიც, როგორც ცნობილია, დეკემბრისათვის იყო გადაწრახული, მაგრამ გადაიდო იმის გამო, რომ გამწვავდა წინააღმდეგობანი „საერთო ბაზრის“ პარტნიორებს შორის.

როგორც აქ ამტკიცებენ, ადენაუერმა პარიზს ჩამოიტანა პროექტი საბაჟო კავშირისა დასავლეთ ევროპის ორ მეტოქე ეკონომიურ გაერთიანებას — „ექვსეულსა“ და „შვიდეულს“ (უკანასკნელში, კერძოდ, შედიან ინგლისი, სკანდინავიის ქვეყნები, ავსტრია) შორის და მიზნად ისახავს თავისებური „ხიდი“ გადოს ამ ორ დაჯგუფებას შორის. ამავე დროს საფრანგეთის დიპლომატია, რომელიც ამ ეკონომიურ დაჯგუფებათა ცალცალკე არსებობის მომხრეა, ცდილობს „ექვსეულის“ ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური თანამშრომლობის განვითარებას. ამ მიზნით საფრანგეთის პრეზიდენტმა წამოაყენა იდეა, რომ შეიქმნას ექვსი ქვეყნის წარმომადგენელთაგან ეგრეთწოდებული მუდმივი პოლიტიკური სამდივნო, იმედი აქვს რა უზრუნველყოს იქ თავისი პოლიტიკური ჰეგემონია. პრესის აზრით, ამ პროექტებს მხარს არ უჭერენ კანცლერი ადენაუერი და დასავლეთ გერმანიის მონოპოლიები, რომელთა წარმომადგენელიც იგი არის. ადენაუერი პრინციპულად „ექვსეულის“ ფარგლებში ეკონომიური თანამშრომლობის წინააღმდეგი არ არის, მაგრამ არ სურს დათანხმდეს ინგლისისა და „შვიდეულის“ სხვა ქვეყნებისაგან გამოცალკევებაზე, რადგან ეს ხელს შეუშლის დასავლეთ გერმანიის მონოპოლიებს შეაღწიონ ამ ქვეყნების ბაზრებში.

აქ აგრეთვე აღნიშნავენ, რომ საფრანგეთის დიპლომატია ეშვეთ ეკიდება „ექვსეულის“ ქვეყნების „მეერთების“, „პოლიტიკური ინტეგრაციის“ პროექტებს, რადგან შიშობს, ვაი თუ ეკონომიურად გაცალებით უფრო ძლიერმა დასავლეთმა გერმანიამ ქვეშ ამოიდოს საფრანგეთის ეკონომიკა, როგორც კი გაჭრება ამჟამად საამისოდ არსებული პოლიტიკური დაბრკოლებანი. დასავლეთ გერმანიის მონოპოლიანი ასეთ გეგმებს საფრანგეთი უპირისპირებს „თანხდათანობით მზარდი თანამშრომლობის“ იდეას, იმედოვნებს რა ამრიგად დაიზღვიოს თავი დასავლეთ გერმანიის ტრესტებისა და კონცერნების ძოულოდნელი შეტევისაგან. „დე გოლი ფიქრობს, — წერს გაზეთი „ფიგარო“, — რომ ჯერჯერობით ერთობ ხაადრეცია ევროპის ინტეგრაციაზე ლაპარაკი...“

საკითხთა მეორე ჯგუფი, რომელსაც საყოველთაო აზრის მიხედვით, განიხილავენ დე გოლი და ადენაუერი პირისპირ რომ შეხვდებიან, შეიცავს მსოფლიო პოლიტიკის საკითხებს და, კერძოდ საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის ურთიერთობას. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ლიბერასიონი“ აღნიშნავს, რომ ადენაუერს იმედი აქვს მიაღწიოს, რომ საფრანგეთის მთავრობამ ახალი ბაზები დაუთმოს დასავლეთ გერმანიის ბუნდესვერს და საფრანგეთი დათანხმდეს ატომური იარაღით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შემდგომ აღჭურვაზე.

აქ უურადღებას აქცევენ იმ ფაქტს, რომ ადენაუერი პარიზს ისეთ დროს მიემგზავრება, როცა დასახულია საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პერსპექტივები, რომლებიც, როგორც ცნობილია, ყოველთვის იწვევდა შეშფოთებას ბონში. ადენაუერის ამ გამგზავრებას წინ უძღოდა სიტყვა, რომელიც ვაშინგტონში წარმოთქვა ბონის სამხედრო მინისტრმა შტრაუსმა, რომელმაც მოითხოვა „ცივი ომის განგრძობა“.

ხომ არ ეხება საქმე იმას, რომ პარიზში მხარდაჭერა შეიპირონ „ცივი ომის“ გაკოტრებული კურსის განსაგრძობად.

გაზეთი „ლუმანიტე“ აკრიტიკებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მილიტარისტულ წრეებთან შეთანხმების პოლიტიკას და ხაზს უსვამს, რომ ცდილობენ საფრანგეთი ჩათრიონ „დასავლეთგერმანულ მილიტარისტებთან კავშირში, მშვიდობის საქმის წინააღმდეგ. სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ და გენერალი დე გოლი მხარს უჭერს ამგვარ ღონისძიებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს“.

ლოკუმენტები ამხილებენ

ბელგრადი, 9 თებერვალი. (საკდესი). იუგოსლავიის კომპეტენტურმა ორგანოებმა ისრაელის ხელისუფალთ გადასცეს დაახლოებით 100 დოკუმენტი. ეს დოკუმენტები, როგორც ტანიუგის სააგენტო იუწყება, ამხილებენ ჰიტლერელი სამხედრო დანაშაულის ეიხმანის ბოროტმოქმედებას, რომელიც მან ჩაიდინა მეორე მსოფლიო ომის დროს იუგოსლავიის ტერიტორიაზე. ეიხმანი, რომელიც იყო გესტაპოს ებრაელთა განყოფილების უფროსი, უშალოდ ხელმძღვანელობდა იუგოსლავიის ებრაელი მოსახლეობის 90 პროცენტის მოსპობას და დაახლოებით 90 ათასი სლოვენის გასახლებას.

ატომური შეიარაღების წინააღმდეგ

ლონდონი, 9 თებერვალი. (საკდესი). ლონდონის რაიონში მეშობა დაიწყო რადიოსადგურმა „ატომური განიარაღების ხმამ“, იუწყება გაზეთი „პის ნიუსი“. თავის გადაცემებში. წერს გაზეთი, რადიოსადგური მოუწოდებს გაიშალოს მოქმედება იმის წინააღმდეგ, რომ ჰოლი-ლოპში შეიქმნას ბაზა ატომური წყალქვეშა ნავებისათვის, რომლებიც შეიარაღებულია „პოლარისის“ რაკეტებით. რადიოსადგური მიმართავს აგრეთვე საზოგადოებრიობას მოწოდებით მხარი დაუჭიროს ატომური განიარაღების კამპანიას, მონაწილეობა მიიღოს 18 თებერვალს დემონსტრაციაში, რომელსაც აწყობს ლონდონში „100-ის კომიტეტი“.

კვლავ ძველი გზით...

პარიზი, 9 თებერვალი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რომელიც იმოწმებს „ავტორიტეტულ წყაროს“, საფრანგეთის მთავრობამ გადაწყვიტა აღარ აწარმოოს ატომური საცდელი აფეთქებანი საჰარაში.

ეს როდი ნიშნავს, რომ საფრანგეთის მთავრობამ საერთოდ უარი თქვა ატომური იარაღის გამოცდაზე. გაზეთი „პარი-ეტური“ იუწყება, რომ, როგორც აღნიშნავენ, საფრანგეთი კვლავ განაგრძობს ატომურ გამოცდას შორეულ კერგელენის კუნძულზე ინდოეთის ოკეანეში.

როგორც ცნობილია, საფრანგეთის მიერ ატომური იარაღის გამოცდამ საჰარაში გამოიწვია აფრიკის საბჭოთა მთავრობისა და საზოგადოებრიობის ენერგიული პროტესტები.

კომუნისტმა გაიმარჯვა...

დელი, 10 თებერვალი. (საკდესი), პარლის ოლქში (ცერალის შტატი) გამართულ შტატის საკანონმდებლო კრების დამატებით არჩევნებში გაიმარჯვა ინდოეთის კომუნისტური პარტიის კანდიდატმა ვ. ვასუმ, რომელმაც მიიღო 25.977 ხმა, სახალხო-სოციალისტური პარტიის კანდიდატმა, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა, ვერ მოაგროვა ამ რაოდენობის ხმის ნახევარიც კი.

აფრიკელი ქალები, რომლებსაც სახე სანახევროდ დაფარული აქვთ ჩადრით. ეს სიმბოლური სურათი ახასიათებს დღევანდელი აფრიკის ბევრ რაიონს, სადაც მოსახლეობა ახალი ცხოვრებისათვის იღვიძებს. ამ სურათზე გადაღებული არიან ზანზიბარის ქალები. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ მათ არ შეეძლოთ თუნდაც ოდნავ გადაეწიათ ჩადრი უცხოთა თვალწინ. ახლა პატარა კუთხე იმ ფარდისა, რომელიც მათ ცხოვრებისაგან ჩქმალავდა, სულ უფრო სცილდება მათს სახეს. შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ გავა კიდევ ცოტა დრო, და ეს ქალები სულ მოიშორებენ ჩადრს, როგორც უკვე მოიქცა ბევრი მათი თანამემამულე ქალი აფრიკის სხვა რაიონებში, სადაც საუკუნეობით არსებობდა ასეთი ჩვეულება. აფრიკა ახალი ცხოვრებისაკენ მიდის. აფრიკა წარსულის ხუნდებს იშორებს.

ფოტო ჟურნალ „სფირიდან“

გიგენგას მიმართვა

კრაკა, 10 თებერვალი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი სტენლიავილიდან იუწყება, კონგოს მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ანტუან გიზენგამ ყველა ქვეყანას მიმართა დაეწინებული თხოვნით დაუყოვნებლივ აღმოუჩინონ დახმარება კონგოს მოსახლეობას, უწინარეს ყოვლისა მედიკამენტებით, სურსათითა და საწვავი მასალით.

გიზენგა აღნიშნავს, რომ ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიც არიან გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და საერთაშორისო წითელი ჯვარი, მეტ დახმარებას უწევენ კონგოს ოლქებს, რომლებიც იმყოფებიან მარიონეტული რეჟიმების ხელში, ვიდრე აღმოსავლეთ პროვინციასა და კივუს, სადაც ძალაუფლება კანონიერი მთავრობის ხელშია.

ჯორჯ ბრაუნი ბრალს დებს
კამათი ინგლისის თემთა პალატაში

ლონდონი, 9 თებერვალი. (საკდესი). გუშინ ინგლისის თემთა პალატაში გიმართა უჩვეულო ძწვავე კამათი ლეიბორისტთა ოპოზიციის მიერ შეტანილი რეზოლუციის გამო, რომელშიც გაკვცხულია მთავრობა იმასთან დაკავშირებით, რომ გადიდდა მოსახლეობის გადასახადი სამედიცინო მომსახურებისათვის. რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ ამ გადაწყვეტილებით მთავრობამ მძიმე ტვირთი დააკისრა ინგლისის მოსახლეობის ყველაზე ნაკლებად უზრუნველყოფილ ნაწილს.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერის მოადგილემ ჯორჯ ბრაუნმა განაცხადა, რომ სამედიცინო მომსახურების ქირის გადიდებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მთელ ინგლისში.

მან ბრალი დასდო მთავრობას, რომ იგი დათმობებზე მიდის მოსახლეობის ყველაზე შეძლებული ნაწილის მიმართ, ამავე დროს დაბატებით ტვირთს აკისრებს ხელმოკლეებს, ავადმყოფებსა და ღრმად მოხუცებს. ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა, თქვა ორატორმა, ყურადღება უნდა მიაქციოს ფარმაცევტიკულ მრეწველობას, რომელიც უდიდეს მოგებას იღებს.

თავის სიტყვაში ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი პოუელი ცდილობდა გაემართლებინა მთავრობის ღონისძიებანი.

კენჭისყრის დროს ლეიბორისტთა რეზოლუცია უარყოფილ იქნა 90 ხმის უმრავლესობით.

მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა. კენჭისყრის შემდეგ ოპოზიციამ შეძლო გაეგრძელებინა კამათი. პარლამენტის წევრმა ლეიბორისტებმა გამოაცხადეს, რომ ისინი იბრძოლებენ მთავრობის ღონისძიებათა წინააღმდეგ მათი განხილვის ყველა სტადიაზე პარლამენტში. კამათი გვიან ღამით დამთავრდა.

დამსჯელი მუშაობას შეუდგა

თავზეხელაღებულთა, ბანდიტთა და კაცსმკვლელთა არმია — ასე უწოდებენ ჩომბეს ავაზაკური ალმის ქვეშ თავმოყრილ შეიარაღებულ დაქირავებულთა რაზმებს.

კონგოში შურისგების ხელი აღიმართა, და ჩომბე დამხმარეებს ეძებს, მას თვითმფრინავებსა და ზარბაზნებს უგზავნიან, ახლა ჩომბე მოითხოვს, რომ ადამიანთა მასობრივი ჟლეტის ოსტატობა ასწავლონ.

მაწყალებლებიც გამოჩნდნენ. კოლონიზატორთა აფრიკელი დაქირავებული აგენტის მოწოდებას ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ფრანგი პოლკოვნიკი ტრენკიე. 52 წლის ასაკში მას სწოროდ ის თვისებები შეუძლია, რომლებიც ჩომბეს მოსწონს. პოლკოვნიკი ალჟირში მსახურობდა. იქ კოლონიურ პარაშუტისტთა მე-3 პოლკს სარდლობდა. მსოფლიომ იცის, რამდენი ადამიანი დაიღუპა ტრენკიეს პარაშუტისტთა ხელით. ჩვენს ფოტოსურათზე თქვენ ხედავთ, როგორ მოქმედებდა ეს დამსჯელი ალჟირში.

მხედველობაში მიიღო რა ტრენკიეს „დამსახურება“, ჩომბემ მას „კატანგის არმიის სარდლის“ თანამდებობა შესთავაზა.

* * *

ფრანს-პრესის სააგენტო იტყობინება, რომ დამსჯელმა ტრენკიემ მოქმედება დაიწყო.

პატარა ბინა პარიზის ცენტრში, ჩვეულებრივი, სხვადასხვა კანტორებით დაკავებული სახლის მეხუთე სართულზე. ეს ბინა, რომელშიც მწვანედ შეღებული უბრალო კარით შეხვალთ, კატანგის არმიისათვის ჯარისკაცთა დასაქირავებელი ცენტრია. პოლკოვნიკი ტრენკიე და მისი ამყოლ-დამყოლი ვაჟბატონები აქ მოხალისეებს აგროვებენ.

ეს ცენტრი რეკლამას როდი მიმართავს. იგი განცხადებებს არ აქვეყნებს, მაგრამ ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა შეხვედრებზე და უკიდურესი მემარჯვენე პარტიების სადგომებში ყურში ჩაგჩურჩულებენ დასაქირავებელი ცენტრის მისამართს. როგორც იუწყებიან, საფრანგეთის არმიის ასამდე სათადარიგო ოფიცერი უკვე ჩაეწერა ჩომბეს დროშის ქვეშ.

ჩომბეს არმიაში ლეგიონერად გახდომა თითქმის ყოველი ასაკის პიროვნებას შეუძლია. ოფიცრებს აღტაცებით ხვდებიან. რიგითი ჯარისკაცები და უნტერ-ოფიცრები პარაშუტისტები უნდა იყონ, ანდა მალე შეისწავლონ პარაშუტისტობა. ეს იმას ნიშნავს, რომ კატანგას სასწრაფოდ ესაჭიროება ეს „რჩეული ჯარისკაცები“. უკვე იქმნება კატანგის მსროლელ-პარაშუტისტთა პოლკის ბირთვი. ეს იქნება შერეული სამხედრო ნაწილი 600 ევროპელი და 600 აფრიკელი ჯარისკაცის შემადგენლობით.

ყველა დაქირავებული სამედიცინო შემოწმებას გადის სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკთან, სპეციალისტთან ტროპიკულ დაავადებათა დარგში, რის შემდეგ მათ სწრაფად გზავნიან 50 კაცისაგან შემდგარ ჯგუფებად ელიზაბეტვილში და სამხრეთ კატანგის საწვრთნელ ბანაკებში.

პირობები, რომლებსაც მოხალისეებს სთავაზობენ, ფრიად მაცდუნებელია. რიგით ჯარისკაცს ეძლევა 200 ათასი ფრანკი საგზაო ფული და ენიშნება თვიური ხელფასი 100-150 ათასი ფრანკის ოდენობით, აგრეთვე დანამატი რისკის გაწევისათვის. სერჟანტი „ღირს“ 180 ათასი ფრანკი, ხოლო ზემდეგი — დაახლოებით 240 ათასი ფრანკი.

უფრო მეტიც, ამ მოხალისეებს შთაგონებენ, რომ კატანგის არმიაში შეიძლება მალე გახდე უნტერ-ოფიცერი. გარდა ამისა, მათ უხატავენ იმ თავგადასავლის მიმზიდველ სურათს, რომელიც მათ მოელის... მაგრამ ამ სურათში შავი ლაქაც არის — დაქირავების ვადა ხუთი წელიწადია.

ზ. ი. თავზარაშვილი

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ზურაბ ილიას-ძე თავზარაშვილი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე პარტიისა და ხალხის უანგარო სამსახურს მოახმარა.

ზ. ი. თავზარაშვილი დაიბადა 1910 წელს ქ. გორში. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1928 წელს აგრონომად. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1933 წლიდან მუშაობდა აგრონომად გორისა და კასპის რაიონებში.

ზ. ი. თავზარაშვილი დიდი სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა არმიის რიგებში იყო, მონაწილეობდა ბრძოლებში სხვადასხვა ფრონტზე. დემობილიზაციის შემდეგ 1946 წლიდან მუშაობდა გორის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის ტექნიკური კულტურების განყოფილების გამგედ. 1947-1952 წლებში ზ. ი. თავზარაშვილი იყო მშრომელთა დეპუტატების გორის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე და სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე. შემდეგ იგი დააწინაურეს გორის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, სადაც მუშაობდა 1957 წლამდე.

1957 წლიდან ზ. ი. თავზარაშვილი მუშაობდა საქართველოს კპ გორის რაიკომის პირველ მდივნად, ხოლო 1959 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ [illegible] ი

კომუნისტი
სპორტი

ტ. პეტროსიანი
სსრ კავშირის ჩემპიონი

მოსკოვი. 10 თებერვალი. (ტელეფონით). ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი სსრ კავშირის XXVIII საჯადაოკო ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო ოსტატი **ვ. გოგლიძე** გვაცნობებს:

ამდენი მაყურებელი ჯერ არ ახსოვს დედაქალაქის რკინიგზელთა კულტურის ცენტრალურ სახლს. ცხადია, სსრ კავშირის საჯადაოკო პირველობის უკანასკნელი ტურისადმი ინტერესი განსაკუთრებით დიდი იყო. სწორედ ამ ტურს უნდა გამოვლინა ჩვენი ქვეყნის ახალი ჩემპიონი, აგრეთვე მსოფლიო პირველობის საზონათაშორისო ასპარეზობის 4 მონაწილე.

პირველ რიგში ყურადღება გამახვილებული იყო ტ. პეტროსიან-ვ. ტარასოვის, ვ. კორჩნოი-ლ. პოლუგაევსკის, ლ. შტეინ-ბ. სპასკისა და ე. გელერ-ი. ავერბახის პარტიებზე.

ტ. პეტროსიანი მშვიდ ბრძოლას ეწეოდა ვ. ტარასოვის წინააღმდეგ, მას მხოლოდ ნახევარი ქულა სჭირდებოდა საერთო გამარჯვებისათვის და ამას მე-13 სვლაზე აღვილად მიაღწია.

ამრიგად, **გროსმაისტერმა ტურნირი 13,5 ქულით დაამთავრა და პირველი ადგილი დაიკავა. ტ. პეტროსიანმა მეორეჯერ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება, ამასთანავე მსოფლიო პირველობის საზონათაშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლება.**

სსრ კავშირის გასული წლის ჩემპიონი ვ. კორჩნოი შეუპოვრად იბრძოდა გროსმაისტერ ლ. პოლუგაევსკის წინააღმდეგ. მალე მან პოზიციურ უპირატესობასთან ერთად შეძლო მატერიალური უპირატესობის მოპოვება და დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია. **ვ. კორჩნოიმ 13 ქულით მეორე ადგილი დაიკავა და საზონათაშორისო ტურნირში გავიდა.**

ე. გელერი და ი. ავერბახი არ ცდილან ბრძოლის გამწვავებას, პარტია ვითარდებოდა მშვიდად და მალე იგი ყაიმით დამთავრდა. **გროსმაისტერმა ე. გელერმა 12 ქულით მესამე ადგილი დაიკავა, ამასთანავე საზონათაშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.**

თუ ვინ იქნებოდა საზონათაშორისო ტურნირის მეოთხე მონაწილე, ამისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლ. შტეინისა და ბ. სპასკის პარტიას, რომელიც ამ დღეს არ დამთავრებულა. გადადებულ პოზიციაში ლ. შტეინი მოგების შანსებს ინარჩუნებს.

ა. ლუტიკოვ-გ. ბორისენკოს პარტია ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

11 თებერვალს მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება.

კალათგურთი

დინამოელთა გამარჯვება

გუშინ მოსკოვის დინამოელები თბილისში საკავშირო პირველობაზე შეხვდნენ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის „ბურევესტნიკის“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდს.

დასაწყისში ინიციატივა თბილისელთა მხარეზე იყო და ტაიმიც მათ მოიგეს ანგარიშით 31:29. შეჯიბრების მეორე ნახევარში დინამოელთა უპირატესობა აშკარა იყო, მათ მოიგეს მატჩი ანგარიშით 74:67.

საკავშირო ჩემპიონატის მეორე ქვეჯგუფში წინ არიან ცსკა-სა და კიევის სკიფ-ის გუნდები, რომლებსაც ოთხოთხი ქულა აქვთ.

„ბურევესტნიკის“ პირველობის ნახევარფინალი

თბილისში ერთ კვირაზე მეტია გრძელდება სასპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობის გათამაშების ნახევარფინალური ტურნირი ჭადრაკში. აქ ერთმანეთს ფინალში გასვლისათვის ეცილებიან ოსტატობის კანდიდატები და პირველთანრიგოსნები.

დღეისათვის ქალებმა გაითამაშეს 8 ტური, ვაჟებმა — 9. ქალთა შორის ლიდერები არიან, ლიაპუნოვა (ერევანი) და გრამოტკინა (მოსკოვი), რომლებსაც ხუთნახევარ-ხუთნახევარი ქულა აქვთ. მესამე ადგილზეა სტრასტრემი (მოსკოვი, 5 ქულა).

ვაჟთა შორის წარმატებით იბრძოდა დოროშკევიჩი (გროზნო), მაგრამ გუშინ იგი დამარცხდა თბილისელ თხელიძესთან პარტიაში. მიუხედავად ამისა დოროშკევიჩი 7,5 ქულით ინარჩუნებს ლიდერობას. ბუნტიანსა (ერევანი) და ბალიტინოვს (მახაჩკალა) ექვს-ექვსი ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ.

ჩემპიონი არ გამოვლინდა

გუშინ თბილისის ცენტრალურ საჯადაოკო კლუბში გაიმართა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ქალთა საჯადაოკო პირველობის უკანასკნელი მე-17 ტური.

ქ. გოგიავამ ჩემპიონატი 12,5 ქულით დაამთავრა. ამიტომ გამარჯვებულის გამოსავლენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნაჭყებიას და კახაბრიშვილის პარტიას. ეს შეხვედრა ნაჭყებიამ წარმატებით ჩაატარა და გაიმარჯვა.

ამრიგად, თბილისის ჩემპიონი არ გამოვლინდა. ქ. გოგიავამ და ლ. ნაჭყებიამ მოაგროვეს თორმეტნახევარ-თორმეტნახევარი ქულა და პირველი ორი ადგილი გაიყვეს. ჩემპიონის გამოსავლენად ამ მოჯადრაკეთა შორის უახლოეს დღეებში მოეწყობა მატჩი 4 პარტიისაგან.

მეგობრობის საღამოები

ლენინის მეგობრობა აკავშირებს თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ჩვენი მოძმე რესპუბლიკის დედაქალაქის რიგის პ. სტუჩკას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს. ამას წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივი სტუმრად ეწვია რიგელ მეგობრებს. ქართველ სტუდენტთა კოლექტივი რიგაში წარსდგა სიმფონიური ორკესტრით, ქორეოგრაფიული ანსამბლით, ვოკალური კვარტეტითა და სხვ.

პირველი კონცერტი გაიმართა რიგის ოფიცერთა სახლში. კონცერტის შემდეგ საქართველოს მუსიკალური საზოგადოებრიობისათვის საკმაოდ ცნობილმა დირიჟორმა იან ფუმინმა გვითხრა: სტუდენტთა სიმფონიური ორკესტრი უდავოდ მაღალმხატვრული, დიდი ტემპერამენტის კოლექტივია, რაც დირიჟორ ა. ნასიძის რთულ და დიდ მუშაობას უნდა მივაწეროთო, ორკესტრის ყველა მონაწილე სტუდენტი ცდილობდა ღრმად გადმოეცა ზ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილის, მ. ბალანჩივაძის შ. აზმაიფარაშვილის, რ. ლაღიძის ნაწარმოებების შინაარსი.

აღტაცებით შეხვდა რიგელი მაყურებელი ქართულ ხალხურ ცეკვებს, მეგობრობის საღამოს, რომელიც ქალაქ რიგის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს. ამას წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივი სტუმრად ეწვია რიგელ მეგობრებს. ქართველ სტუდენტთა კოლექტივი რიგაში წარსდგა სიმფონიური ორკესტრით, ქორეოგრაფიული ანსამბლით, ვოკალური კვარტეტითა და სხვ.

პირველი კონცერტი გაიმართა რიგის ოფიცერთა სახლში. კონცერტის შემდეგ საქართველოს მუსიკალური საზოგადოებრიობისათვის საკმაოდ ცნობილმა დირიჟორმა იან ფუმინმა გვითხრა: სტუდენტთა სიმფონიური ორკესტრი უდავოდ მაღალმხატვრული, დიდი ტემპერამენტის კოლექტივია, რაც დირიჟორ ა. ნასიძის რთულ და დიდ მუშაობას უნდა მივაწეროთო, ორკესტრის ყველა მონაწილე სტუდენტი ცდილობდა ღრმად გადმოეცა ზ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილის, მ. ბალანჩივაძის შ. აზმაიფარაშვილის, რ. ლაღიძის ნაწარმოებების შინაარსი.

ფრანგურთის გადასთან

გუშინ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში გაიმართა ფრანგურთულ ქალთა საკავშირო პირველობის მორიგი მატჩი. თამაშობდნენ მოსკოვის „დინამოსა“ და თბილისის „ბურევესტნიკის“ გუნდები. სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონმა მოსკოვის „დინამომ“ შეჯიბრება წარმატებით ჩაატარა და გაიმარჯვა ანგარიშით 3:0.

ნ. ი. სხირტლაძე— გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრმა, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მინერალოგია-პეტროგრაფიის კათედრის გამგემ, დოცენტმა ნიკოლოზ ივანეს-ძე სხირტლაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგია-გეოგრაფიისა და ბიოლოგიის ფაკულტეტების სამეცნიერო საბჭოების გაერთიანებულ ღია სხდომაზე გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „საქართველოს პოსტპალეოგენური ეფუზიური ვულკანიზმი“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ნ. ი. სხირტლაძისათვის გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

იცით თქვენ?

უმაღლეს საჯადაოკო წოდებას — საერთაშორისო გროსმაისტერის წოდებას ფიდე (საერთაშორისო საჯადაოკო ფედერაცია) მეტად „ძუნწად“ ანიჭებს. ხდება ისეც, რომ თავის ქვეყანაში გროსმაისტერად აღიარებულ მოჯადრაკეს (ლაიოშ პორტიში უნგრეთიდან, რაულ სანგინეტი არგენტინიდან, ლევ პოლუგაევსკი საბჭოთა კავშირიდან) ფიდე არ ცნობს ამ წოდების მატარებლად და მხოლოდ საერთაშორისო ოსტატად თვლის.

საერთაშორისო გროსმაისტერთა ყველაზე დიდი ჯგუფი, ცხადია, საბჭოთა კავშირს ჰყავს. ჩვენთან ეს წოდება აქვთ მიხეილ ტალს, მიხეილ ბოტვინიკს, ვასილ სმისლოვს, პაულ კერესს, ვიქტორ კორჩნოის, ტიგრან პეტროსიანს, ბორის სპასკის, მარკ ტაიმანოვს, დავით ბრონშტეინს, ეფიმ გელერს, იური ავერბახს, ალექსანდრე კოტოვს, რატმირ ხოლმოვს, ისააკ ბოლესლავსკის, იგორ ბონდარევსკის, ალექსანდრე ტოლუშს, ანდრე ლილიენტალს, სალო ფლორს, გრიგორ ლევენფიშს და ვიახესლავ რაგოზინს.

9 გროსმაისტერი ჰყავს ამერიკის შეერთებულ შტატებს (რობერტ ფიშერი, სამუელ რეშევსკი, როობინ ფაინი, უილიამ ლომბარდი, ლარი ევანსი, არტურ ბისჰაიერი, ისააკ კეიდენი, ნიკოლას როსოლიმო, პალ ბენკო).

მესამე ადგილზეა იუგოსლავია. აქ სამი ხანდაზმული გროსმაისტერია, რომლებიც ფაქტიურად ჭადრაკს ჩამოსცილდნენ (ბორა კოსტიჩი, მილან ვიდმარი, ვასა პირცი) და 4 „მოკმედი“ გროსმაისტერი (სვეტოზარ გლიგორიჩი, ალექსანდრ მატანოვიჩი, ბორისლავ იგაროვი და პეტარ ტრიფუნოვიჩი).

მეოთხე ადგილზე მყოფ არგენტინაში თავისებური მდგომარეობაა. აქ სამი „იმპორტირებული“, ევროპიდან გადმოსახლებული გროსმაისტერია (მიგუელ ნაიდორფი, ერიხ ელისკაზესი, გერმან პილნიკი) და 1 სამიც საკუთარი (ოსკარ პანო, კარლოს გიმარი, ჰექტორ როსეტო).

ჭადრაკში „მცირე ქვეყნებს“ მიეკუთვნებიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (ყოველ სამი გროსმაისტერი—ვოლფ-განგ უნციკერი, ლოთარ შმიდი და ფრიც ზემიში), ჩეხოსლოვაკია (ლუდეკ პახმანი და მიროსლავ ფილიპი), ჰოლანდია (მსოფლიო ექს-ჩემპიონი მაქს ეიგე და ნიკოლას დონერი), ბელგია (ალბერიკ ო' კელი, დე ჰალვეი და სახელოვანი აკიბა რუბინშტეინი, რომელიც რამდენიმე ათეული წელი ჭადრაკს აღარ თამაშობს. რუბინშტეინი უხუცესი გროსმაისტერია მსოფლიოში), უნგრეთი (ლასლო საბო და გეზეულ ბარეა), შვეიცია (გეზეულ შტალბერგი და გესტა შტოლეი). თითო გროსმაისტერი ჰყავთ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას (ვოლფგანგ ულმანი), დანიას (ბენტ ლარსენი), ისლანდიას (ფრიდრიკ ოლაფსონი) და ავსტრიას (წარსულში განთქმული თეორეტიკოსი ერნსტ გრუნფელდი, რომელიც ომის შემდეგ ჭადრაკს აღარ თამაშობს).

ამრიგად, დღეს მსოფლიოში 59 საერთაშორისო გროსმაისტერია. თავანთ რიგს უცდიან ის საერთაშორისო ოსტატებიც, რომლებმაც ლაიპციგში XIV ოლიმპიადაზე შეასრულეს გროსმაისტერის ნორმა (ბულგარელი მილკო პობოლოვი და პირველ დაფაზე გამარჯვებული ავსტრიელი კარლ რობატჩი).

ამ სიაში არ შედიან ის მოჯადრაკეები, რომელთაც გროსმაისტერის წოდება აქვთ მიმოწერით თამაშში. ამ წოდებას ანიჭებს მიმოწერით თამაშის საერთაშორისო ფედერაცია.

ეკონომიკური ბიულეტენი

რამდენი გროსმაისტერია მსოფლიოში?

ანტონინა შუბლაძე მუშაობს ყველა საკითხზე, რომლებიც ეხება უწვრილეს არსებათა სამყაროს — ვირუსების სამყაროს შესწავლას. მაგრამ არის ჯგუფი საკითხებისა, რომლებიც მას ყველაზე მეტად აინტერესებს. ესენია, უწინარეს ყოვლისა, ნერვული სისტემის ინფექციური ვირუსული დაავადებანი: ენცეფალიტი და მისი მონათესავე დაავადებანი. თავის ქმართან — პროფესორ სოლოვიოვთან და თავის ყოფილ მოწაფესთან სოფიო გაიდამოვიჩთან ერთად — მან გამოიკვლია ცოფის ვირუსის ერთ-ერთი ვარიანტი, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, იწვევს ადამიანში ენცეფალიტის განსაკუთრებით საშიშ მწვავე და ქრონიკულ ფორმას. ეგრეთწოდებულ ენცეფალომიელიტს (თავისა და ზურგის ტვინის ანთება). შემდგომ შესწავლას მოჰყვა კიდევ ერთი აღმოჩენა: იგივე ვირუსი შეიძლება დაკავშირებული იყოს გაბნეული სკლეროზის აღმოცენების მიზეზებთან. ავადმყოფობისა, რომელიც ჩვეულებრივ ემართებათ ახალგაზრდებს და ხშირად მძიმე ინვალიდობას იწვევს.

მთელ რიგ გამოკვლევათა საფუძველზე გამომუშავებულ იქნა სპეციფიკური ვაქცინა მწვავე ენცეფალომიელიტისა და გაბნეული სკლეროზის წინააღმდეგ. როგორც კლინიკურმა დაკვირვებამ ცხადყო, ბევრ შემთხვევაში ეს საშუალება მნიშვნელოვნად შველის ავადმყოფებს.

ანტონინა შუბლაძის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჰეპატიტის გამოცანას. მასთან დაკავშირებულია ბევრი ტრაგიკული და გმირული განცდა, ნათელი იმედები და მათი მწარე გაცრუება. და ეს გამოცანა ჯერ მთლიანად არ არის გამოცნობილი.

ათასობით ადამიანი დაავადებულია სიყვითლით, ან ეპიდემიური ჰეპატიტით. ეს დაავადება აშკარად ვირუსული წარმოშობისაა და, ბუნებრივია, მან დაინტერესა ვირუსოლოგიის ინსტიტუტი. ჰეპატიტის შესწავლა დაეკვალა ანტონინა კონსტანტინეს ასულს და მის თანამშრომლებს.

დადგენილ იქნა: ავადმყოფობა გადადის უშუალო კონტაქტით — წყლით, საკმლით, ჭუჭყიანი ხელებით; მაგრამ გადამდებია ავადმყოფთა სისხლი და გამონაყოფები. დამტკიცებულია: დაავადების განვითარება შეიძლება თავიდან იქნას აცილებული, თუ ყველას, ვინც ავადმყოფთან ახლოს იყო, დაუყოვნებლივ შეუშხაპუნებენ ჰამაგლობულინს.

ეს კარგია, მაგრამ... საკმარისი არ არის. სიყვითლის პრობლემა არ შეიძლება გადაჭრილად ჩაითვალოს, სანამ აღმოჩენილი, შესწავლილი და გაუვნებლებული არ იქნება ავადმყოფობის გამომწვევი ვირუსი.

რვა წელია ლაბორატორიაში გრძელდება „ყვითელი ყაჩაღის“ დევნა, მაგრამ იგი მოუხელთებელია.

ერთხელ სიყვითლით დაავადებულ ქალს აღმოუჩინეს ვირუსი, თითქოს გამოცანა ამოცნობილია. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ეს რადაც სხვა ვირუსია, რომელსაც ჰეპატიტთან საერთო არა აქვს რა. მარცხია? არ იცის კაცმა. მართალია, ამჯერადაც ნამდვილი გამომწვევი არ იქნა ნაპოვნი, სამაგიეროდ აღმოჩენილია ახალი ვირუსი, რომელსაც, როგორც ჩანს, შეუძლია გამოიწვიოს ჰეპატიტის მსგავსი ან მისი თანამგზავრი დაავადება.

ვირუსოლოგიის ინსტიტუტის მრავალრიცხოვან ლაბორატორიებში სერიოზული, მშვიდი ცხოვრება მიმდინარეობს. აქ სუფევს სიჩუმე, სიწყნარე, ადამიანები დაბალი ხმით ლაპარაკობენ. უცხო თვალს ასეთი ვითარება შეიძლება ზედმეტადაც მშვიდი, მდორე მოეჩვენოს.

არ დაუჯეროს თვალებს! ეს სიმდორე კი არა, უალრესად ზუსტი გამოანგარიშებაა; სიმშვიდე კი არა, უალრესად დაძაბული უურადღებაა. აქ იბრძვიან ჩვენი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, იმისათვის, რომ დედამიწაზე არ იყოს ავადმყოფობა: არავითარი; არც მიკრობული და არც ვირუსული.

• • •

ა. პრისი.

სურათზე: ანტონინა შუბლაძე.

ბზირად გადადიოდა ერთი ადგილიდან მეორეზე. როცა ქალაშვილმა საშუალო სკოლა დაამთავრა, ისინი შუა აზიაში ცხოვრობდნენ, და ანტონინა შევიდა უახლოეს სამედიცინო ინსტიტუტში ტაშკენტში.

ვინ იცის, რა მიმართულებით წავიდოდა ანტონინას სამედიცინო განათლება, პროფესორი გრეკოვი რომ არა. გამოჩენილმა მეცნიერმა — მიკრობიოლოგმა თავისი ლექციებით აღძრა მეცნიერებისადმი სიყვარული ახალგაზრდა სტუდენტი ქალის გულშიც.

ეს სერიოზული და სამუდამო იყო. მიკრობიოლოგიის ზოგადი კურსი მას უკვე არასაკმარისად მოეჩვენა, და იგი მთელ თავისუფალ დროს ატარებდა ანლაბორატორიაში, ან ბიბლიოთეკაში.

შემდეგ იგი გადავიდა მოსკოვში, 1-ლ სამედიცინო ინსტიტუტში, იყო ასპირანტურაში მეჩნიკოვის სახელობის ინსტიტუტთან. მისი ხელმძღვანელი იყო პროფესორი ლ. ა. ზილბერი — სწორედ ის, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ სათავეში ჩაუდგა ენცეფალიტის გამომწვევის საძიებო ექსპედიციას და მიიწვია შუბლაძე მასში მონაწილეობის მისაღებად. შუბლაძე ისმენდა რუსული მიკრობიოლოგიის მამამთავრის ნიკოლოზ თეოდორეს-ძე გამალეიას ლექციებს, ანტონინა სწავლობდა და თან ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად მუშაობდა. იქ დაწერა თავისი პირველი მეცნიერული ნაშრომი — პარტახიანი ტიფის შესახებ.

ასპირანტურაში ანტონინა უფრო ახლოს გაეცნო ვირუსოლოგიას — მოძღვრებას დაავადებათა უწვრილეს გამომწვევთა შესახებ. მაშინ ეს იყო მიკრობიოლოგიის სრულიად ახალი, თითქმის სულ შეუსწავლელი დარგი. ანტონინა შუბლაძემ გადაწყვიტა მისი შესწავლისათვის მოეხმარებინა თავისი სიცოცხლე.

ვირუსოლოგია... შედარებით ცოტა ველ დაბრკოლებებს. არავითარ ოპტიკურ მიკროსკოპში მისი დანახვა არ შეიძლება, არავითარ მკვებავ ნრეში ვირუსს ცხოვრება და გამრავლება არ შეუძლია, მას სჭირდება მხოლოდ ცოცხალი უჯრედი. უფრო მეტიც, არიან ვირუსები, რომლებიც ცხოვრობენ მხოლოდ ადამიანის ორგანიზმში და არავითარ სხვა— კურდღლის, ძაღლის, მაიმუნის ორგანიზმში არ იცხოვრებენ. მაშ როგორ გამრავლონ ისინი? ცოცხალ ადამიანში?

ვირუსები უამრავი არიან, ისინი იმყოფებიან წყალსა და ხმელეთში, აღწევენ დედამიწის ქერქის სისქეში და დაფრინავენ ღრუბლებს ზევით, და ყოველ მათგანს აქვს თავისი „ხასიათი“, ცვლებადი და მზაკვრული.

სურათზე: ანტონინა შუბლაძე.

11 თებერვალი

თეატრები: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — ბორის გოდუნოვი (მე-16 აბონ. მე-4 წარმ.), **რუსთველის სახელობის** — ქარიშხალში (პრემიერა), **მარჯანიშვილის სახელობის** — კოლხეთის ცისკარი, **გრიბოედოვის სახელობის** — ქარიშხალი (მე-10 აბონ. მე-4 წარმ.), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — ტრფობის ბადეში (რკინიგზელთა სახლში), **სანკულტურის** — აუპატერი იცინის (აბონ. № 1).

ტელევიზია: 18.00 — ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდენას ეკარხო“, 18.30 — კონცერტი მოსწავლეთათვის, 19.05 — კინონარკვევი. 19.25 — საუბარი — „ომისა და მშვიდობის პრობლემა თანამედროვეობის ყველაზე მწვავე პრობლემაა“ (სტუდიაშია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ვალენტინა რატიანი), 19.40 — ლიტერატურული გადაცემა — ხალხური ზეპირმეტყველნი სტუდიაში, 20.05 — კინოჟურნალი, 20.15 — ახალი მხატვრული ფილმი — აეროდრომი ვერ მიიღებს, 21.45 — ახალი ამბები.

☐ **გრძელდება** შეჯიბრება ფეხბურთში ინგლისის პირველობაზე. ჩემპიონატის ლიდერი „ტოტენჰემი“ მორიგ მატჩში შეხვდა „ლეიესტერ სიტის“ და დამარცხდა ანგარიშით 2:3. მაგრამ მისი მდგომარეობა გათამაშების ცხრილში უცვლელი დარჩა, რადგან მომდევნო ადგილზე მყოფმა გუნდმა „ეულვერჰემპტონ უონდერერსმაც წაგო მატჩი „ბლეკბერნთან“ 1:2.

☐ **გაიმართა** საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში ჩილის პოპულარული საკლუბო გუნდის „კოლო კოლსა“ და ბრაზილიის „სან-პაულუს“ შორის. ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა მოწინააღმდეგის მოედანზე აჩვენეს თამაშის მაღალი ტექნიკა, შესანიშნავი ფიზიკური მომზადება და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0.

☐ **არგენტინის** ჩემპიონი „ინდეპენდენტეს“ საკლუბო გუნდი წარმატებით განაგრძობს ტურნეს სხვადასხვა ქვეყნებში. მორიგი ასპარეზობა არგენტინელებმა გამართეს მექსიკაში ამავე ქვეყნის ჩემპიონთან „გვადალახართან“. არგენტინელებმა შეჯიბრება მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1.

☐ **დამთავრდა** კანადის პირველობის გათამაშება ფეხბურთში. მოყვარულთა გუნდების ასპარეზობაში უძლიერესი აღმოჩნდა და ამ ქვეყნის ჩემპიონის წოდება მოიპოვა „ვესტმინსტერ როიალსმა“. პროფესიონალ გუნდთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა „ტორონტო იტალია“, რომელმაც გადამწყვეტ ასპარეზობაში მოუგო „მონრეალ კანტალიას“.

კანადელი ჰოკეისტები მოსკოვში

მოსკოვი. 9 თებერვალი (საკდესი). დღეს ჰელსინკიდან მოსკოვს ჩამოვიდა კანადის ჰოკეის გუნდი „ტრეილ სმოუკ იტერსი“. კანადელი სპორტსმენები საბჭოთა კავშირში გამართავენ სამ შეხვედრას: 11 თებერვალს — „კრილია სოვეტოვის“ გუნდთან (მოსკოვი), 12 თებერვალს — „დინამოს“ გუნდთან (მოსკოვი) და 14 თებერვალს — სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდთან. სამივე მატჩი გაიმართება მოსკოვის სპორტის სასახლეში.

„ტრეილ სმოუკ იტერსის“ გუნდი ერთ-ერთი უძლიერესია კანადაში. იგი სსრ კავშირში პირველად ჩამოვიდა და მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც მარტში გაიმართება შვეიცარიაში, წარმოადგენს თავის ქვეყანას.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.